აჭარა

გამოცემის 103-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№73 (25.097) სამშაბათი, 11 - 12 ივლისი, 2023 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით



დღეს მოსალოდნელია დროგამოშვებით წვიმა ელჭექით, დასავლეთის მიმართულების ქარი – 17-22 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 23-28, შიდამთიან რაიონებში - 22-27 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 25 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 754 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

კრიალოსა N იუსი

თავის დროზე არსებობდა სერიოზული ეჭვები საქართველოს მზაობის თაობაზე, დღეს, ნატოში საქართველოს წევრობის საწინააღმდეგო არგუმენტებიდან აღარაფერი დარჩა, - ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარის მიერ გავრცელებულ ღია წერილშია აღნიშნული. შალვა პაპუაშვილის თქმით, საქართველო რომ 2008 წელს ნატოს წევრი ყოფილიყო, არ იქნებოდა არც ომი და არც რუსული ოკუპაცია. „საქართველოსთვის უარის თქმამ, შესაძლოა, უკრაინაზე თავდასხმასაც შეუწყო ხელი. ნატოს საზღვრები მშვიდობის საზღვრებია. საქართველოს და რეგიონული მშვიდობისა და სტაბილურობის უდიდესი საფრთხე ბუნდოვანებაა, რომელიც აგრესიულმა ძალებმა სამართლებრივი, პოლიტიკური და სამხედრო კუთხით იოლად შეიძლება გამოიყენონ“, - აცხადებს პაპუაშვილი.

* * *

11-12 ივლისს, ვილნიუსში, ნატოს სამიტში საქართველოს დელეგაციაც მიიღებს მონაწილეობას. საგარეო უწყების ინფორმაციით, დელეგაციას საგარეო საქმეთა მინისტრი ილია დარჩიაშვილი უხელმძღვანელებს. იგი დაესწრება საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე ჩრდილოატლანტიკური საბჭოს შეხვედრას, რომელშიც ასევე მონაწილეობენ შვედეთის (ალიანსში მიწვეული ქვეყნის სტატუსით), ბოსნია-ჰერცეგოვინისა და მოლდოვის საგარეო საქმეთა მინისტრები და ევროკავშირის მაღალი რანგის წარმომადგენელი.

* * *

პოლიციამ არათუ არ უზრუნველყო ძალადობის შეჩერება, არამედ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ მოძალადეებს დაერბიათ ღონისძიება - სამწუხაროდ, ამ ქვეყანაში შეუძლებელია პოლიციის იმედი გქონდეს, - ასე გამოეხმაურა ენმ-ის დეპუტატი ანა წითლიძე „თბილისი პრაიდის“ ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს. მისი თქმით, პოლიცია ანტისაოკუპაციო აქციებს შლის გაზით, წყლის ჭავლით, რობოკოპებით, სამოქალაქო აქტივისტებს აკავებს, მაგრამ რეალურად, სადაც უნდა აღკვეთოს ძალადობა, იქცევა ისე, როგორც „ქართული ოცნების“ ფილიალი.

* * *

„გირჩი“ საკანონმდებლო ბაზიდან ტერმინ „გენდერის“ ამოღების ინიციატივით გამოდის და პარლამენტს საკანონმდებლო პაკეტით მიმართავს, რომლის მიხედვით, ყველა იმ კანონში, სადაც ნახსენებია „გენდერი“, ცვლილება შედის. პროექტის გათვალისწინებით, „გენდერული თანასწორობის შესახებ“ კანონს „საქართველოს კანონი ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შესახებ“ კანონი დაერქმევა.

მოამზადა ია შველიძემ

ონკოლოგიური დიაგნოზის მქონე ბავშვებს სახელმწიფო დაფინანსებით მკურნალობის შესაძლებლობა საქართველოსთან ერთად, თურქეთის, ისრაელისა და ესპანეთის კლინიკებში ექნებათ

ნაილი ხერთვისელი 27 48 93

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით მთავრობის სხდომა გაიმართა. მინისტრთა კაბინეტის წევრებმა დღის წესრიგით გათვალისწინებული 5 საკითხი განიხილეს

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურის ინფორმაციით, სხდომაზე განიხილეს პროექტი, რომლის მიხედვითაც ონკოლოგიური დიაგნოზის მქონე ყველა ბავშვს, სახელმწიფო დაფინანსებით, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის შესაძლებლობა, საქართველოსთან ერთად, თურქეთის, ისრაელისა და ესპანეთის წამყვან კლინიკებში ექნება. „პროექტის წლიური ბიუჯეტი, დაახლოებით, 30 მილიონი ლარია. უცხოეთში სერვისის მიმწოდებლად, წინასწარი ბაზრის კვლევის საფუძველზე, უკვე შერჩეულია თანამედროვე სტანდარტების, საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე მაღალტექნოლოგიური კლინიკები, სადაც ერთ სივრცეში გაერთიანებულია მომსახურების სრული სპექტრი. პროექტის ფარგლებში, პაციენტებს შესაძლებლობა ექნებათ, მიიღონ მაღალხარისხიანი, მაღალტექნოლოგიური სამედიცინო სერვისები, მათ შორის, პროტონოთერაპია, რომელიც, გარკვეული ტიპის სოლიდური სიმსივნის სამკურნალოდ უკანასკნელი სიტყვაა თანამედროვე მედიცინაში. საკითხის განხილვისას ხაზი გაესვა, რომ ხარისხიან ონკოლოგიურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, განსაკუთრებით ბავშვთა ასაკში, სახელმწიფოს პრიორიტეტია. ჯანდაცვის სამინისტროსა და სამედიცინო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებები თვის ბოლომდე გაფორმდება, რის შემდეგაც ონკოლოგიური დიაგნოზის მქონე ბავშვები, სამედიცინო მომსახურებას როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ - ესპანეთში, ისრაელსა და თურქეთში საჭიროების მიხედვით მიიღებენ. 18 წლამდე პაციენტების საზღვარგარეთ მკურნალობის პროგრამა გარდამავალი ეტაპი იქნება, ვიდრე საქართველოში არ გაძლიერდება სერვისები და არ შეიქმნება თანამედროვე სტანდარტების, მაღალტექნოლოგიური აპარატურით აღჭურვილი ბავშვთა ონკოლოგიური სახელმწიფო ცენტრი, სადაც ხელმისაწვდომი იქნება სამედიცინო სერვისების სრული სპექტრი. ამ მიმართულებით, ჯანდაცვის სამინისტრო აქტიურად მუშაობს“, - აღნიშნულია ინფორმაციაში.

არქეოლოგიური სამუშაოები - ჯაბნიძეებში
2

«დღეს უკრაინაში ის რუსული იმპერიალიზმი მარცხდება, რომელიც საქართველომ არაერთხელ გამოსცადა»
3

ჯავშნების პირველი ქართული აპლიკაცია მალე საერთაშორისო ბაზარზე გავა
4

არნახული გრიგალი, სეტყვა და ღვარცოფი - შუახევის მუნიციპალიტეტის სოფლებში
5

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

დარეკეთ «აჭარის» რედაქციაში - ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია თქვენი მოსაზრება! - 27-48-93

ბრიუსელში ვიზიტის ფარგლებში

ნაილე ხერთვისელი 27 48 93

აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე და აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი ზაზა შავაძე, ბრიუსელში ვიზიტის ფარგლებში, ევროპარლამენტარ ლუკას მანდლის, ევროპის რეგიონთა კომიტეტის (COR) ვიცეპრეზიდენტ აპოსტოლოს ციციკოსტასს, ევროპის რეგიონთა კომიტეტის (COR) გენერალურ მდივან პეტრე ბლიზკოვსკისა და ავსტრიის ელჩს ევროკავშირში ნიკოლაუს მარჩიკს შეხვდნენ

შეხვედრებზე ყურადღება გამახვილდა საქართველოს ევროინტეგრაციის საკითხებსა და კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭების პროცესში ევროსტრუქტურების მხრიდან მხარდაჭერის მნიშვნელობაზე. საუბარი შეეხო ამ მიმართულებით რეგიონების ჩართულობასა და მათ როლს.

ვიზიტის ფარგლებში, ასევე, შეხვედრა გაიმართა ბიუჯეტისა და ადმინისტრაციის საკითხებში ევროკომისარ იოჰანეს ჰანთან.

ბრიუსელში აჭარის დელეგაცია ევროპის რეგიონთა ინსტიტუტის (IRE) ხელმძღვანელ ფრანც შაუსბერგერის მიწვევით იმყოფებოდა.

არქეოლოგიური სამუშაოები – ჯაბნიძეებში

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

რამდენიმე წლის წინ, სხალთის ეპარქიის მთავარეპისკოპოს მეუფე სპირიდონის ინიციატივით, შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯაბნიძეებში არსებულ ნაეკლესიარზე ზედამხედველობა არქეოლოგიური სამუშაოები შესრულდა

აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ორგანიზებით, წელს განახლდა არქეოლოგიური სამუშაოები სოფელ ჯაბნიძეებში, „ქაშუეთის“ უბნის ტერიტორიაზე ნაეკლესიარისა და სამაროვნის შესწავლის მიზნით.

ამ ეტაპზე ნაეკლესიარის აღმოსავლეთითა და სამხრეთით აღმოჩნდა რამდენიმე სამარხი, ზოგიერთ მათგანში დაფიქსირდა ინვენტარიც (ჯამები, სასმისები). ერთი სამარხი და ორი ქვევრი იატაკის დონეზე ნაეკლესიარის შიდა სივრცეშიცაა წარმოდგენილი.

ეკლესიის აღმოსავლეთით მდებარე სამარხების შესწავლის დროს აღმოჩნდა ასომთავრულით შესრულებული წარწერიანი ქვის ფრაგმენტი, რომლის ნაწილი ჯერ კიდევ მიმდინარე წლის აპრილში შემთხვევით იპოვა სოფლის მკვიდრმა. ქვაზე ამოკვეთილია: „ქრისტე შეიწყალე ბასილი და მისნი შვილნი“. არქეოლოგიურ ექსპედიციას ხელმძღვანელობენ ტარიელ ებრალიძე და ნარგიზ სურმანიძე. მათ ადგილობრივი მოსახლეობა ეხმარება, რომელთა შორის არიან სტუდენტი ანანა აბუსელიძე და უფროსკლასელი ნოდარ ზოსიძე.

შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე, საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე თენგიზ ივანაძე ჯაბნიძეებში არქეოლოგიური გათხრების პროცესს გაეცნენ.

დამამთავრებელ ეტაპზე

ცოტნე ცაბაძე 27 48 94

ქედის მუნიციპალიტეტში, მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების ფარგლებში, სოფელ კოლოტაურში, ედნარ შავლიძის საცხოვრებელ სახლთან, საყრდენი კედლის მშენებლობა მალე დასრულდება

მიმდინარე სამუშაოებს ქედის მუნიციპალიტეტის მერი როლანდ ბერიძე, მშენებლობის, სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი გენადი ანანიძე და მერის წარმომადგენელი პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეულში რაულ სალაძე გაეცნენ.

პროექტის ფარგლებში სახლის მიმდებარედ ეწყობა 34 მეტრი სიგრძისა და 1,5 მეტრი სიმაღლის საყრდენი კედელი. სამუშაოებს, რომლის ღირებულება 30 048 ლარს შეადგენს, შპს „მათე 55“ ახორციელებს.

დათვი ბებია-შვილიშვილს თავს დაესხა

ცოტნე ცაბაძე 27 48 94

შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ დაბაძველის მკვიდრი მერიკო ზოიძე სახლიდან 300 მეტრის მოშორებით დეკეულს აძოვებდა. მას თან ახლდა ქედიდან სტუმრად ჩამოსული შვილიშვილი ნოდარ ცინცაძეც

ტყიდან გამოვარდნილი დათვი 3 ბელთან ერთად ჯერ პირუტყვს დაესხა თავს, შემდეგ კი ბებია-შვილიშვილის და მათი თანმხლები მწყემსის ყვირილით გააღიზიანებული მათკენ გამოქანდა. ისინი დაღმართზე დააგორა, 5 წლის ნოდარს კბილები და ბრჭყალები სახის არეში გაჰკრა.

დაშავებული ბებია და შვილიშვილი უმალვე ბათუმის იაშვილის კლინიკაში გადაიყვანეს და სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს. მართალია, ექიმებმა ისინი მალევე გამოწერეს, მაგრამ რამდენიმე დღეს დაკვირვების ქვეშ იქნებიან.

ამბები

შაბათ-კვირის ქრონიკა

ტარდება საინფორმაციო ოპერაციების კურსი ორგანიზაცია „ვემსახურები საქართველოს“ ბათუმის მოხალისეთა პირველი ოცეულისთვის - კონფერენცია ეროვნული გვარდიის ადლიის ბაზაზე მოეწყო. პროექტი მიზნად ისახავს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას სამოქალაქო სექტორის ჩართულობით. პროექტის ფარგლებში მოხალისეები სამომავლოდ ფიზიკურ სამხედრო საბაზისო მომზადებას გაივლიან. მათ მომზადებას საქართველოს ეროვნული გვარდია უზრუნველყოფს.

* * *

თვითნასწავლი მხატვრის, ნათია ხუციშვილის, პერსონალური გამოფენა მოეწყო ხელოვნების მუზეუმში. ექსპოზიციაზე ავტორის მიერ ბოლო პერიოდში შექმნილი ფერწერული ნამუშევრები: პეიზაჟები და ნატურმორტები იყო წარმოდგენილი, ასევე არქიტექტურული ნაგებობებისა და სიუჟეტური კომპოზიციის თემატიკის ამსახველი ნაშრომები. ავტორის თქმით, მისი კომპოზიციები წარმოსახვისა და ფანტაზიის ნაყოფია. ნათია ხუციშვილის გამოფენა ახლო მომავალში თურქეთსა და იტალიაშია დაგეგმილი.

* * *

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობის და მიგრანტების გადაყვანის მცდელობისთვის 3 პირი დააკავეს. გამოძიებით დადგინდა, რომ 1976 წელს დაბადებული თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე საკუთარ სატვირთო ავტომანქანაში მოწყობილი სამალავის მეშვეობით, საქართველოდან თურქეთის რესპუბლიკის მიმართულებით, საპასპორტო კონტროლის გვერდის ავლით მიგრანტების - თურქეთისა და უზბეკეთის რესპუბლიკის მოქალაქეების უკანონოდ გადაყვანას ცდილობდა. მომხდარზე დაწყებულია გამოძიება. დანაშაული 4-დან 8 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

* * *

ბათუმში მდებარე ოთხი ისტორიული სახლი ავარიულია და რეაბილიტაციას საჭიროებს. აჭარის კულტურული მემკვიდროების სააგენტოს ინფორმაციით, 250 ათასი ლარი იხარჯება რუსთაველის №7-ში, №31-ში, თავდადებულის ქუჩის №10-ში და 26 მაისის ქუჩის №37-ში მდებარე ავარიული სახლების საპროექტო დოკუმენტაციის შესაძენად. სააგენტოში განმარტავენ, რომ სატენდერო პროცედურები უკვე დასრულებულია და ამ ეტაპზე ამხანაგობასთან მოლაპარაკებებს აწარმოებენ. ავარიული სახლების რეაბილიტაციის პარალელურად შენობაში მცხოვრებ ოჯახებს მერია დროებით ქირით გაიყვანს. კულტურული მემკვიდრეობის სტატუსს აჭარაში 250-მდე ძეგლი ატარებს, აქ შედის როგორც ურბანული სახეობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, ასევე არაურბანული სახეობის ძეგლები. აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს მიმდინარე წლის ბიუჯეტი 5 მილიონ ლარს შეადგენს.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

„დღეს უკრაინაში ის რუსული იმპერიალიზმი მარცხდება, რომელიც საქართველომ არაერთხელ გამოსცადა“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

„რუსეთის ისტორია, პეტრე პირველის შემდეგ, ერთი დაუსრულებელი სისხლის სამართლის საქმეა“, - ტიუტჩევის ეს ციტატა აქ მთავრდება, მაგრამ არ მთავრდება და დღემდე გრძელდება სისხლის სამართლის საქმე - უსაშველოდ გაწელილი სივრცესა და დროში...

რუსეთი რომ ვერაგი, დესპოტური და არაპროგნოზირებადი ქვეყანაა, მთელ მსოფლიოში და, მით უმეტეს, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში გააცნობიერეს. ისტორიულ წიაღსვლებს არ დავიწყებ, მოკლედ ვიტყვი: აგრესია საქართველოს მიმართ, ოკუპაცია ჩვენი რეგიონებისა, ანექსირებული ყირიმი და ოკუპირებული დნესტრისპირეთი... ამ დრომდე, ანუ რუსეთ-უკრაინის ომამდე დასავლეთი, გარკვეულწილად, თვალს ხუჭავდა კრემლის დესტრუქციულ ნაბიჯებზე, მაგრამ 2022 წლის 24 თებერვლის შემდეგ მსოფლიომ გააცნობიერა რუსეთის რეალური ზრახვები საერთაშორისო პოლიტიკაში. აშშ-ის და ევროკავშირის მხარდაჭერა რომ არა, სავარაუდოდ, რუსეთი საწადელს მიაღწევდა. თითქმის წელიწადნახევარია, მიმდინარეობს ომი უკრაინაში. ამ ქვეყანამ არა მხოლოდ გაუძლო რუსეთის აგრესიას, არამედ ინიციატივაც მოიპოვა და წარმატებულ კონტრშეტევას ახორციელებს. რუსეთში ამასწინანდელმა ერთდღიანმა ამბოხმა ბევრი კითხვა წარმოშვა უკრაინის ომის კონტექსტში. ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გვესაუბრება საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (ჯიპა-ს) პროფესორი ***გიორგი კობერიძე.***

- ბატონო გიორგი, რუსეთში არშემდგარ აჯანყებაზე მინდა გკითხოთ: ორ კვირაზე მეტი გავიდა და, გარკვეულწილად, დასკვნის გაკეთება შეიძლება - რა ვიხილეთ და რა შეიძლება ვიხილოთ სამომავლოდ?

- ცხადად ვიხილეთ, რაც უმრავლესობისათვის ისედაც ნათელი იყო - რუსეთში არსებობს უამრავი კლანი, რომელთა შორის დაპირისპირება უცხო არ არის. დაპირისპირება მატულობს ხოლმე, როდესაც ავტოკრატიული რეჟიმები სუსტდება ანდა ბრძოლაში ვერ აღწევს წარმატებას. პრიგოჟინის ამბოხი გამოცხადებული ომის ქრონიკასავით იყო - წინასწარ აანონსებდა აჯანყებას, მაგრამ კრემლში ეგონთ, რომ ეს ან ბლეფი იყო, ან უშუალოდ შოიგუ-გერასიმოვის კლანს დაუპირისპირდებოდა, მაგრამ ასე არ აღმოჩნდა და სწორედ ეს იყო შოკისმომგვრელი პუტინისთვის, რომელიც შეცბუნებული და დაბნეული მიმართავდა ხალხს.

- ერთდღიანმა სამხედრო აჯანყებამ დაამსხვრია თუ არა რუსეთის და, ასევე პუტინის უძლეველობის და სტაბილურობის იმიჯი?

- როგორც ცხელმა დანამ - კარაქში, ისე გაიარა „ვაგნერმა“ თითქმის 800 კილომეტრი, აიღო 2 ადმინისტრაციული ცენტრი და ჩამოაგდო 7 საფრენი აპარატი. პარადოქსია, მაგრამ უკრაინისთვის ყველაზე საშიში რუსული შვეულმფრენები გახლდათ და სწორედ ისინი განადგურდა ამ ამბოხის პერიოდში. რეალურად, ამ ყველაფერმა გამოაჩინა, რაც უცნობი არ ყოფილა - რუსეთის ყველაზე ბრძოლისუნარიანი ნაწილები ახლა უკრაინაშია და რუსეთის დასაცავად „როსგვარდია“ საკმარისი ნამდვილად არ არის. ამიტომაც აპირებს კრემლი ამიერიდან მეტი აქცენტი გააკეთოს სწორედ „როსგვარდიაზე“, რომელმაც რეჟიმი ყველაფრის ფასად უნდა გადაარჩინოს. ბოლო 500 დღეა, ვხედავთ, რომ რუსეთი სწორედ იმის ტყვეობაში აღმოჩნდა, რაშიც წლების განმავლობაში ამყოფებდა მეზობლებსა და დასავლეთს: რუსეთის ძალა არის არა მის სუპერსახელმწიფოებრიობაში, არამედ იმ რწმენისა და აღქმის გავრცელებაში, რომ თითქოს ის მართლაც სუპერსახელმწიფოა. როდესაც უძლეველობის მითს რეჟიმი თავად იჯერებს, სწორედ მაშინ ექმნება მას საფრთხე.

- როგორც გაცხადდა, აშშ-ის დაზვერვამ ერთი დღით ადრე იცოდა და მოსალოდნელი ამბოხის შესახებ. ამ მხრივ დასავლეთისთვის რა სცენარი იქნებოდა ხელსაყრელი?

- აშშ-სთვის ყველაზე ხელსაყრელია, მისმა მტრებმა შიგნიდან გაინადგურონ თავი. სწორედ ამ პროცესებს ვადევნებდით თვალს.

- თუ პრიგოჟინი არ გასამართლდა, რამდენად მოსალოდნელია რუსეთში ახალი ამბოხი?

- დაუსჯელობის სინდრომი არცერთ ავტოკრატიულ რეჟიმს არ აძლევს ხელს. რეჟიმმა თავისი სისუსტე ნამდვილად გამოავლინა, მაგრამ ყველაზე საინტერესო სწორედ ამის შემდეგ დაიწყება - ეს წმენდაა. ნებისმიერი დასუსტებული ავტოკრატია ძალაუფლების აღდგენას სამხედრო და პოლიტიკური ელიტის წმენდით ცდილობს ხოლმე, მაგრამ შიდა ტერორის წამოწყება ომის დროს რომ ცუდი იდეაა, ყველამ იცის. უბრალოდ, პუტინი, რომელიც, მისი ადრეული ბიოგრაფიიდან გამომდინარე, ხშირად პარანოიდად ხასიათდება, მაღალი ალბათობით, წმენდის არჩევანს გააკეთებს, მით უფრო, რომ ამის ნიშნები უკვე გაჩნდა.

- ანალიტიკოსები აცხადებენ, რომ რუსეთში ძალაუფლებისთვის კლანებს შორის ბრძოლა დაიწყო, ანუ ემზადებიან პოსტპუტინის პერიოდისთვის. თქვენ თუ ხედავთ რუსეთში ახალ ლიდერს, რომელიც შეეგუება პოსტსაბჭოთა ქვეყნების სუვერენულ არჩევანს?

- პუტინი მარტო არ მართავს. საერთოდ, არცერთი ლიდერი, მათ შორის დიქტატორი, არ მართავს მარტო. მას საკუთარი კლანი ჰყავს, რომელსაც, თავის მხრივ, შიდა კლანები ჰყავს. რუსეთში მათ „სილოვიკებს“ უწოდებენ. მათ, ოლიგარქიული ძალაუფლების გარდა, აქვთ ძალაუფლება უშიშროებაში, პოლიციასა და ჯარში. ხშირ შემთხვევაში ავტოკრატიებს თავად მისივე გარემოცვა ამხობს რომელიმე ახალი ლიდერის სასარგებლოდ. ჯერჯერობით ამის ნიშნები არ გვაქვს რუსეთში, მაგრამ, ჩვეულებრივ, ასეთი რამ წინასწარ იშვიათად ხდება ცნობილი. ალბათ უნდა დაველოდოთ არჩევნებს რუსეთში, რომელიც მომდევნო წლის მარტში იმართება. თუკი პუტინმა საკუთარი კანდიდატურა კვლავ წამოაყენა, შესაძლოა ვიფიქროთ - „სილოვიკებს“ კვლავ სჯერათ მისი.

- ახლა უკრაინის ომზე ვისაუბროთ: სამი კვირაა, უკრაინული არმია კონტრშეტევას ახორციელებს. რა დასკვნა შეიძლება გაკეთდეს ამ მიმართებით?

- უკრაინელებმა წარმატებას მიაღწიეს სამხრეთში, დონეცკისა და ზაპოროჟიას საზღვარზე კრიტიკულად მნიშვნელოვან ველიკა ნოვოსილკას მიმართულებით, სადაც, ჯამში, რვა დასახლების გათავისუფლება შეძლეს და კვლავ მათ აქვთ ინიციატივა. უშუალოდ ზაპოროჟიას ოლქში ორი დასახლება გაათავისუფლეს. დონეცკის ოლქში, ბახმუტის სექტორში კი უკრაინელებს ყოველდღიური წინსვლა აქვთ ქალაქის ირგვლივ. ეს შეიძლება ბევრი არ იყოს, მაგრამ ორი რამაა მთავარი: ტენდენცია პოზიტიურია და... უკრაინელები საკუთარი სამხედროების სიცოცხლეს მაქსიმალურად უფრთხილდებიან. ტექნიკაში დანაკარგი არის, მაგრამ ცოცხალ ძალაში ამის მაჩვენებელი ნაკლებია. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ამჯერად უკრაინული შემტევი ნაწილების მხოლოდ 10%-ია ჩართული.

- როგორ ფიქრობთ, უკრაინა საკმარის დახმარებას იღებს დასავლეთისგან, ოკუპირებული ტერიტორიები რომ დაიბრუნოს? ამ მხრივ F16-ის გადაცემა უკრაინისთვის რა სტადიაშია?

- არა, უკრაინას მეტი სჭირდება. რუსეთის შესაჩერებლად უკრაინელებმა დიდი რაოდენობით იარაღი მიიღეს, მაგრამ შეტევას სხვა კონცეფცია და შეიარაღება სჭირდება. დასავლეთი აკეთებს ბევრს, მაგრამ არა იმდენს, რომ სწრაფი გარდატეხა მოხდეს.

- ვხედავთ, რომ რუსეთი აშანტაჟებს დასავლეთს ბირთვული იარაღის გამოყენებით, მაგალითად, ზელენსკიმ აღნიშნა, რომ რუსეთი ზაპოროჟიას ატომური სადგურის აფეთქებას გეგმავს...

- დასავლეთში ფიქრობენ, რომ სწრაფად დამარცხებულმა რუსეთმა შეიძლება უგუნური ნაბიჯები გადადგას და წინდაუხედავად ან ატომური ელექტროსადგური ააფეთქოს, ან სულაც ბირთვულ იარაღს მიმართოს, მაგრამ რაც დრო გადის, დასავლეთშიც იცვლება შეხედულებები ამასთან დაკავშირებით. განსაკუთრებით პრიგოჟინის ამბავმა დააფიქრა და დააჩქარებინა მოქმედება, რადგან გამოჩნდა, რომ რუსეთს იმაზე მეტად ქაოსური და ირაციონალური ძალებისაგან შემდგარი რეჟიმი მართავს, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანდა. სავარაუდოა, რომ შემოდგომაზე მიიღებს უკრაინა F16-ებს.

- „დღეს დასავლეთიც თვითგადარჩენისთვის იბრძვის უკრაინის ტერიტორიაზე“, - აღნიშნეთ ერთ-ერთ ინტერვიუში...

- დასავლეთის მიერ შექმნილი საერთაშორისო წესრიგი გულისხმობდა, რომ დაპყრობითი ომების ეპოქა დასრულებული იყო. ევროპაში მშვიდობა სწორედ ამ ლოგიკაზე დაფუძნდა და თანამშრომლობა და ურთიერთგაზიარება წავიდა წინ. თუკი რუსეთმა მოახერხა და დაპყრობით ომში წარმატებას მიაღწია ან ფსევდოიმპერიული პროექტი განახორციელა (რაც რიგი ქვეყნების მხოლოდ დე იურე დამოუკიდებლობას გულისხმობს, დე ფაქტოდ კი დამორჩილებულები იქნებიან), მაშინ ომები და კონფლიქტები ახალი ძალით იფეთქებს მსოფლიოს მრავალ წერტილში, ეს ყველაფერი კი, გრძელვადიანად, დასავლეთსაც შეუქმნის საფრთხეს.

- როგორი იქნება საერთაშორისო წესრიგი, თუ უკრაინამ ომში გაიმარჯვა (გულისხმობ ყველა ოკუპირებული ტერიტორიის დეოკუპაციას) ან ეს ომი გაიყინა?

- ეს შექმნის რეალურ შანსს ჩვენი მსგავსი სახელმწიფოებისთვის, რომელთაც არაერთი პრობლემა და თავის ტკივილი ჰქოდნათ დიდი სახელმწიფოების ზეწოლისა თუ აგრესიების ფონზე. ეს დასავლეთისთვისაც გაკვეთილი იქნება, რომ აგრესიული რეჟიმებისათვის დაყვავება არ შეიძლება და რომ რუსეთის შეჩერება ჯერ კიდევ 2008 წელს შეიძლებოდა. ამიტომაა დღეს მნიშვნელოვანი უკრაინის გამარჯვება - საზღვრების ურღვევობის პრინციპი, უპირველესად, ჩვენთვის იქნება სასურველი.

- როცა იქნება, ეს ომიც დასრულდება, მაგრამ მისი უკრაინისთვის სასურველად დამთავრება რაზე იქნება დამოკიდებული?

- ომი სულ ვერ გაგრძელდება. თავდაცვაში მყოფ ძალას ბრძოლის მეტი მოტივაცია აქვს ხოლმე, ვიდრე აგრესიულ ძალას, რომელიც, ბუნებრივია, თავადაც იფიტება. უკრაინის გამარჯვებისათვის დღეს დასავლეთი კრიტიკულ როლს ასრულებს, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი სწორედ უკრაინელთა ნებაა, იბრძოლონ დამოუკიდებლობისთვის. უკრაინა დიდია, რესურსი ბევრი აქვს, წარმოების საშუალებები აქვს და დასავლეთის დახმარებით შეუძლია ბრძოლის გაგრძელება. თუმცა ერთ-ერთი ფუნდამენტური გამოწვევა, რომელიც კიევის წინაშე დგას, დიდი კორუფციაა, მათ შორის სამხედრო სტრუქტურებში. ამ მხრივ უკრაინას ორ ფრონტზე ბრძოლა უწევს.

- უდავოა, რომ ყველა დიდი ომის შემდეგ ხდება ახალი საერთაშორისო წესრიგის ფორმირება, ჩვენ რომ დასავლეთის ქოლგის ქვეშ აღმოვჩნდეთ, ხელისუფლებამ რა უნდა გააკეთოს ამ მიმართებით?

- დასავლეთი იმიტომაა მიმზიდველი, რომ დასავლური ცხოვრების სტანდარტი, დასავლური უსაფრთხოება და დასავლური პოლიტიკური სტრუქტურა გამართული და ეფექტურია. საქართველოს ხელისუფლება, ვინც არ უნდა წარმოადგენდეს მას, უნდა ცდილობდეს, გახდეს დასავლური ტიპის. ეს არ ნიშნავს, რომ შეიძლება თავიდანვე გერმანულმა მოდელმა იმუშაოს, მაგრამ ჩვენ გვაქვს მაგალითები პოსტსოციალისტურ ევროპაში - ბალტიისპირა სახელმწიფოების, პოლონეთის, სლოვენიის... სადაც ევროპულმა რეფორმებმა შედეგები გამოიღო და ცხოვრების სტილიც ევროპული გახდა. დღეს არაა საკმარისი, თქვა, დასავლეთი კარგიაო და იქიდან ფული მიიღო. თუკი რომელიმე ორგანიზაციის წევრობა გინდა, იმ

იხ. მე-7 გვ.

> ***„თუკი რუსეთმა მოახერხა და დაპყრობით ომში წარმატებას მიაღწია ან ფსევდოიმპერიული პროექტი განახორციელა (რაც რიგი ქვეყნების მხოლოდ დე იურე დამოუკიდებლობას გულისხმობს, დე ფაქტოდ კი დამორჩილებულები იქნებიან), მაშინ ომები და კონფლიქტები ახალი ძალით იფეთქებს მსოფლიოს მრავალ წერტილში, ეს ყველაფერი კი, გრძელვადიანად, დასავლეთსაც შეუქმნის საფრთხეს***

უცხოეთი

თურქეთის პრეზიდენტ რეჯეფ თაიფ ერდოღანის განცხადებით, მისმა ქვეყანამ შესაძლოა, მხარი დაუჭიროს შვედეთის ნატოში გაწევრიანებას, თუ ევროპის ქვეყნები თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანებისკენ „გზას გახსნიან“. „თურქეთი უკვე 50 წელზე მეტია, იცდის ევროკავშირის კართან და ნატოს წევრი თითქმის ყველა ქვეყანა ევროკავშირის წევრია. მე ამას მოვუწოდებ იმ ქვეყნებს, რომლებიც თურქეთს 50 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ალოდინებენ ევროკავშირის კარიბჭესთან. მოდით და გაუხსენით გზა თურქეთის გაწევრიანებას ევროკავშირში. როდესაც თქვენ გზას გაუხსნით თურქეთს, ჩვენ გავუხსნით გზას შვედეთს, როგორც გავაკეთეთ ფინეთისთვის“, - განაცხადა ერდოღანმა.

* * *

არა მგონია, ნატო ერთსულოვანი იყოს იმასთან დაკავშირებით, შემოუერთდეს თუ არა უკრაინა ნატოს ოჯახს ახლა, ამ მომენტში, ომის შუაგულში, - განაცხადა აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა. მისი თქმით, თუ ეს ახლა მოხდება, ვალდებული არიან ნატოს ტერიტორიის თითოეული ინჩის მიმართ. „ეს არის ვალდებულება, რომელიც ყველამ ავიღეთ, რაც არ უნდა მოხდეს. თუ ომი გაგრძელდება, მაშინ ყველანი ომში ვიქნებით რუსეთთან“, - აღნიშნა ბაიდენმა.

* * *

ფინეთში და ფინეთის გავლით შენგენის ზონის სხვა ნაწილში რუსეთის მოქალაქეების მოგზაურობაზე დაწესებული შეზღუდვები ძალაში შევიდა. ფინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე გამოქვეყნებული განცხადების მიხედვით, გამკაცრებული ზომები ეხება საქმიან მოგზაურობას, რომელიც მხოლოდ ფინეთში იქნება დაშვებული. სხვა ქვეყნებში ტრანზიტი აკრძალულია. გარდა ამისა, რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ აუცილებელი მიზეზები პირადი საქმიანი მოგზაურობისთვის. რუსებს, რომლებიც ფინეთში უძრავ ქონებას ფლობენ, უნდა ჰქონდეთ საფუძველი ფინეთში ყოფნისთვის. რუსეთიდან ფინეთში ჩასულ სტუდენტებს შეეძლებათ ჩაერთონ სწავლაში, რომლის მიზანი ხარისხის მიღება ან გაცვლით პროგრამაში მონაწილეობაა.

* * *

ესპანელი მაშველები კანარის კუნძულების მახლობლად ეძებენ დაკარგულ ნავს, რომელშიც სულ მცირე 200 აფრიკელი მიგრანტი იმყოფებოდა. ნავი სენეგალის სანაპირო ქალაქ კაფონტინიდან 27 ივნისს გავიდა და კანარის კუნძულებისკენ მიემართებოდა. ნავზე ბევრი ბავშვია. ასევე ვრცელდება ინფორმაცია, რომ დაკარგულია კიდევ ორი ნავი, რომლებშიც ათობით ადამიანი იმყოფებოდა. ერთ-ერთი ნავის ბორტზე დაახლოებით 65 ადამიანია, მეორეზე - 60-მდე, რაც ნიშნავს, რომ სამივე ნავში დაკარგული ადამიანების რაოდენობა 300-ს აჭარბებს.

* * *

სუდანის ქალაქ ომდურმანში ავიაიერიშის შედეგად სულ მცირე 22 ადამიანი დაიღუპა და ათობით დაშავდა. გასამხედროებული დაჯგუფება „სწრაფი მხარდაჭერის ძალების“ განცხადებაში აღნიშნულია, რომ 31-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა, დანგრეულია სახლები და დაშავებულია ათობით მშვიდობიანი მოქალაქე. „სუდანის შეიარაღებულ ძალებში“ კი აცხადებენ, რომ ომდურმანში ოპერაცია ჩაატარეს, რამდენიმე მეამბოხის ლიკვიდაცია განახორციელეს და საბრძოლო მანქანები გაანადგურეს.

მოამზადა
ია შველიძემ

ჯავშნების პირველი ქართული აპლიკაცია მალე საერთაშორისო ბაზარზე გავა

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

ცხოვრებისეული რუტინისგან გასაქცევად, ცოტა ხნით გარემოს შესაცვლელად თუ უბრალოდ, დროის კარგად გასატარებლად ბუნებაში დასასვენებელ საინტერესო და მყუდრო ადგილებს ყველა ეძებს, თუმცა ეს არც ისე მარტივია. ბევრი დრო და ენერგია უნდა დავხარჯოთ, რომ იდეალურ ადგილს მივაგნოთ და შესაბამისად დავისვენოთ

საბედნიეროდ, უკვე არსებობს Tripcamp - ჯავშნების პირველი ქართული მობილური აპლიკაცია, სადაც საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ბევრი საინტერესო და განსხვავებული დასასვენებელი ადგილი ერთადაა თავმოყრილი. ეს აპლიკაცია მომხმარებელს კიდევ უფრო გაუადვილებს არჩევანს და მარტივად დაჯავშნის მისთვის ხელსაყრელ გლემფინგებს, კოტეჯებს, ხის ქოხებსა თუ სხვა სტილის დასასვენებელ სივრცეებს.

აპლიკაცია როგორც აიფონის, ასევე ანდროიდის მომხმარებლებისთვისაა ხელმისაწვდომი. შეგიძლიათ სასურველი დასასვენებელი სივრცე ადგილმდებარეობის, ფასის, სტუმრების რაოდენობის თუ სხვა კრიტერიუმების მიხედვით გაფილტროთ, შესაბამისი ადგილების ფოტოები დაათვალიეროთ, კითხვების შემთხვევაში მფლობელს იქვე დაუკავშირდეთ და დაჯავშნოთ.

Tripcamp საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს 150 000-ლარიანი თანადაფინანსების გრანტის მფლობელი გახდა. ამ თანხით კომპანია საერთაშორისო ბაზარზე გასვლას გეგმავს.

საიდან გაჩნდა პირველი ქართული მობილური აპლიკაციის შექმნის იდეა, რა ეტაპები გაიარეს და რა გეგმები აქვთ სამომავლოდ, ამ და სხვა საინტერესო დეტალებზე Tripcamp-ის დამფუძნებელი და დირექტორი ***ხატია სვანაძე*** *გვესაუბრება.*

- მოგვიყევით თქვენ შესახებ...

- მაქვს მრავალწლიანი გამოცდილება ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის სფეროში. ვარ ბუნებაში დასვენების და თავგადასავლების მოყვარული ადამიანი. ყოველთვის ვეძებ სიახლეებს და ვცდილობ ახალი გამოცდილების მიღებას.

- გზა, რომელმაც TripCamp-ის შექმნამდე მიგიყვანათ... როგორ გაჩნდა მისი შექმნის იდეა და რა ეტაპები გაიარეთ?

- პანდემიის პერიოდში, როცა ყველანი გამოკეტილი ვიყავით, გამიჩნდა სურვილი, გავრიდებოდი ყოველდღიურ სტრესს და ბუნებაში განსატვირთად წავსულიყავი. მინდოდა განსხვავებული დასვენება და ახალი გამოცდილების მიღება, არ მინდოდა სტანდარტული ტიპის სასტუმრო ან გესთ-ჰაუსი. დავიწყე ძიება, მაგრამ ასეთი ადგილის პოვნა რთული აღმოჩნდა. ვათვალიერებდი დაჯავშნის სტანდარტულ საიტებს, როგორიცაა „ეარბიენბი“ თუ „ბუქინგკომი“, ვწერდი მიზნობრივ ფეისბუქჯგუფებში და დავხარჯე უამრავი დრო, მეპოვა ისეთი ტიპის კოტეჯი, როგორსაც ვეძებდი. აღმოჩნდა, რომ მსგავსი პრობლემა ბევრ ჩემს მეგობარსაც აწუხებდა. ამიტომ გადავწყვიტე, შემექმნა ახალი პროდუქტი - აპლიკაცია ბუნებაში დასვენებისთვის განსხვავებული ადგილების დასაჯავშნად. აპლიკაციაზე მუშაობის პროცესში საკმაოდ რთული გზა გავიარეთ. ბევრ გამოწვევას და სირთულეს წავაწყდით, თუმცა მნიშვნელოვან წარმატებას ერთობლივი მუშაობით მივაღწიეთ. უკვე გვაქვს აპლიკაცია, როგორც ანდროიდის, ასევე, აიფონის მომხმარებლებისთვის. აპლიკაციაში ინტეგრირებულია დაჯავშნისა და გადახდის ფუნქციონალი. დამატებული გვყავს 190-ზე მეტი განთავსების ობიექტი და ყოველდღიურად ჩვენი აპლიკაციის მეშვეობით ათეულობით დამსვენებელი ჯავშნის სასურველ ადგილს.

- გქონდათ პირადი გამოცდილება, რომელმაც მოვლენების ამგვარი გზით განვითარება განაპირობა?

- უშუალოდ აპლიკაციაზე მუშაობის გამოცდილება მანამდე არ მქონია, მაგრამ გასულ წლებში ვმუშაობდი სხვადასხვა მენეჯერულ პოზიციაზე. პროცესების დაგეგმვა და ორგანიზება ნამდვილად არის ჩემი ძლიერი მხარე. ასევე, აპლიკაციის კეთების პროცესში მივხვდით, რომ ძალიან დაგვეხმარებოდა, ჩვენ თვითონ გვქონოდა ჰოსტის გამოცდილება, ამიტომ რაჭაში გავაკეთეთ კოტეჯები „ჯვარისა გლემპინგი“, რადგან უკეთ შეგვესწავლა ბაზარი, კერძოდ, რა მოთხოვნები ჰქონდათ დამსვენებლებს და რა პრობლემებს აწყდებოდნენ ჰოსტები. ეს გამოცდილება საბოლოო ჯამში ძალიან დაგვეხმარა და კოტეჯებს დღესაც წარმატებით ვმართავთ.

- კომპანიის გუნდსა და გამოცდილებაზე გვიამბეთ.

- Tripcamp-ს ორი დამფუძნებელი ჰყავს. ჩემს გამოცდილებაზე უკვე გესაუბრეთ. რაც შეეხება მეორე პარტნიორს, ის უკრაინიდანაა, პროფესიით დეველოპერია და არაერთი აპლიკაცია აქვს შექმნილი ნულიდან. ერთმანეთთან გვაკავშირებს მეგობრობა და სხვადასხვა პროექტზე ერთობლივი მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება.

- რა მიზანს ემსახურება აპლიკაცია და რას სთავაზობს მომხმარებელს?

- აპლიკაცია შექმნილია ბუნებაში დასვენების მოყვარული ენთუზიასტებისთვის. ჩვენს აპლიკაციას აქვს გამოკვეთილი ნიშა და განსხვავებით სტანდარტული დაჯავშნის საიტებისგან, სადაც ყველა ტიპის დასარჩენი ადგილია თავმოყრილი და არეულია ერთმანეთში, ჩვენთან მსურველი მხოლოდ ბუნებაში არსებულ განსხვავებულ დასასვენებელ ობიექტებს იპოვის.

- პოტენციურ მომხმარებელთა გამოკითხვა და გამოკვლევა თუ ჩაატარეთ?

- საწყის ეტაპზე გამოვკითხეთ ის წრე, რომელზეც წვდომა გვქონდა. ვესაუბრეთ ჰოსტებსაც და ვკითხეთ, რამდენად საინტერესო იქნებოდა მათთვის ჩვენს ნიშურ აპლიკაციაში ყოფნა და მას შემდეგ, რაც დავრწმუნდით, რომ მოთხოვნა იყო, ჩვენი სურვილი - გაგვეკეთებინა აპი, რეალობად ვაქციეთ.

- გარშემო მილიონობით აპლიკაცია არსებობს, როგორ შეძელით ამ წრის გარღვევა?

- ისეთ პროდუქტს როცა ქმნი, რომელიც მომხმარებლისთვის საინტერესო და სასარგებლოა, წრის გარღვევა პრობლემას აღარ წარმოადგენს. დაჯავშნის სისტემებში ყველაზე გავრცელებული აპლიკაციებია „ბუქინგკომი“ და „ეარბიენბი“, მაგრამ არცერთი მათგანი არ არის ორიენტირებული ნიშაზე. ჩვენ გვყავს კარგი როლმოდელი, ამერიკული კომპანია Hipcamp, რომელმაც ზუსტად იმ ნიშის დაკავება შეძლო ამერიკულ ბაზარზე „ეარბიენბისთან“ კონკურენციაში, რომელ ნიშასაც ჩვენ ვუმიზნებთ ახლა ევროპაში.

- რატომ უნდა აირჩიონ თქვენი აპლიკაცია და არა სხვა?

- ანალოგი არ გვყავს არც ქართულ ბაზარზე და არც აღმოსავლეთ ევროპაში, მაგრამ თუკი ჰოსტს სურვილი აქვს, იყოს სხვა დასაჯავშნ პლატფორმაზე, ეგ ჩვენთვის პრობლემას არ წარმოადგენს. არ გვაქვს იმის ამბიცია, რომ ჯავშნების 100-ვე პროცენტი ჩვენგან ექნებათ მიღებული. Tripcamp-ს სხვა დაჯავშნის პლატფორმებისგან გამოარჩევს ნიშაზე ორიენტირებულობა. ასევე, მომავალში ვგეგმავთ, დავამატოთ ახალი ფუნქციონალი. უკვე ჩვენი გამოცდილებით ვიცით, რომ ბუნებაში დასვენების მოყვარულ ენთუზიასტებს აინტერესებთ ლოკალურ ბუნებასთან დაკავშირებული გამოცდილების მიღება. უმეტეს მათგანს სურს, ჰქონდეს ინფორმაცია, სად გასინჯოს ადგილობრივი კერძი, რა დაათვალიეროს ირგვლივ, არის თუ არა ბუნებასთან დაკავშირებული რამე აქტივობები. ჩვენ ამ ლოკალურ გამოცდილებას დავაკავშირებთ ლოკაციურად კონკრეტულ განთავსების ობიექტთან და დასვენების მსურველს ექნება სრული ინფორმაცია, თუ როგორ უნდა გაატაროს შერჩეულ ადგილას რამდენიმე დღე.

- როგორია თქვენი მართვის სტილი?

- სტარტაპის წარმატება გამორიცხულია, თუკი ის არ უსმენს თავის მომხმარებელს. ამიტომ ჩვენთვის უპირველესი მომხმარებელთან ურთიერთობაა. ყოველდღიურ რეჟიმში ვეკონტაქტებით როგორც მასპინძლებს, ასევე დამსვენებლებს, ვეკითხებით რჩევებსა და რეკომენდაციებს, რის გაუმჯობესებას თუ დამატებას ისურვებენ აპლიკაციაში. შემდეგ უკვე ვამუშავებთ ამ ინფორმაციას პრიორიტეტების მიხედვით. ყოველდღიურად ვხარჯავთ დიდ დროსა და ძალისხმევას, რომ უკეთესები გავხდეთ.

- ტექნიკურ ხარვეზებს და პრობლემებს თუ აწყდებით, თქვენი მომხმარებელი რამდენად დაცულია კიბერშეტევისგან?

- აპლიკაცია ცოცხალი ორგანიზმია. ტექნიკური ხარვეზები და ე.წ. ბაგები აქვს ბაზარზე ცნობილ დიდ მოთამაშეებსაც კი, ასე რომ, ეს პრობლემას არ წარმოადგენს. მთავარია, დროულად აღმოვაჩინოთ და გამოვასწოროთ ხარვეზი. კიბერშეტევის საფრთხეც არ გვაქვს, რადგან გადახდის დროს ჩვენ არ ვინახავთ მომხმარებლების ბარათის მონაცემებს და გადახდებისთვის ჩაშენებული გვაქვს წარმატებული ქართული კომპანია „feize“-ს სისტემა.

- რა არის წარმატების უპირველესი საწინდარი?

- ალბათ, ბანალურად ჟღერს, მაგრამ წარმატების უპირველესი საწინდარია ბევრი შრომა, შემართება და მიზნისკენ მუდმივი სწრაფვა, თუნდაც პატარა-პატარა ნაბიჯებით.

- ისეთს რას ურჩევდით ახალბედებს, რომლებიც აპლიკაციების შექმნაზე მუშაობენ, დაწყებისას რომ გსურდათ, თქვენთვისაც ერჩიათ?

- ახალბედებს ვურჩევ, რომ სჯეროდეთ თავისი იდეის. არ დაამატონ აპლიკაციას ფუნქციონალი ისე, თუ ჯერ მომხმარებელს არ ჰკითხავენ. ჩვენ გვქონდა შემთხვევა, როცა უკვე აწყობილი ფუნქციების გადაკეთებაც მოგვიწია. არ დაელოდონ პროდუქტის სრულყოფილებას, რაც შეიძლება მალე უნდა გაუშვან ბაზარზე და მომხმარებლის უკუკავშირის შემდეგ გააუმჯობესონ.

- გაქვთ თუ არა რაიმე დევიზი ან ციტატა, რომელიც თქვენი მამოძრავებელი ძალაა?

- დევიზები და ციტატები არ გვაქვს.

- რა გეგმები გაქვთ?

- მიმდინარე წელს სრულ რესურსს ვდებთ ქართულ ბაზარზე. წელს გავხდით ჯიტას 150 000-ლარიანი გრანტის გამარჯვებული და ეს თანხა დაგვეხმარება, რომ ფართოდ გავშალოთ მარკეტინგული კამპანია და უფრო და უფრო მეტ მომხმარებელს მივწვდეთ. საქართველოშივე გავტესტავთ ჩვენს ბიზნესმოდელს და ფუნქციონალს გავაუმჯობესებთ, ხოლო შემდეგი წლიდან უკვე ვგეგმავთ პროდუქტის სხვა ქვეყნების ბაზრებზე გატანას. ოპტიმისტურად ვართ განწყობილი უკრაინის ბაზრის მიმართ. ჩვენი მეორე დამფუძნებლისგან ვიცით, რომ მიუხედავად ომისა, ხალხი იქ ჩვეულ რეჟიმში ცხოვრობს და მოთხოვნა ბუნებაში დასვენებაზე იქაც ძალიან მაღალია. ამიტომ იმედი გვაქვს, რომ მომავალი წლის აქტიურ სეზონზე უკრაინაშიც ვიქნებით წარმოდგენილი. ასევე განვიხილავთ თურქეთში გასვლასაც, რადგან ძალიან დიდი ბაზარია, აქვს დიდი პოტენციალი გლემპინგის განვითარებისთვის და ჰყავს როგორც ადგილობრივი ტურისტები, ასევე - ყოველწლიურად სხვა ქვეყნებიდან შემოსული მილიონობით დამსვენებელი.

> ***„ანალოგი არ გვყავს არც ქართულ ბაზარზე და არც აღმოსავლეთ ევროპაში, მაგრამ თუკი ჰოსტს სურვილი აქვს, იყოს სხვა დასაჯავშნ პლატფორმაზე, ეგ ჩვენთვის პრობლემას არ წარმოადგენს. არ გვაქვს იმის ამბიცია, რომ ჯავშნების 100-ვე პროცენტი ჩვენგან ექნებათ მიღებული. Tripcamp-ს სხვა დაჯავშნის პლატფორმებისგან გამოარჩევს ნიშაზე ორიენტირებულობა. ასევე, მომავალში ვგეგმავთ, დავამატოთ ახალი ფუნქციონალი. უკვე ჩვენი გამოცდილებით ვიცით, რომ ბუნებაში დასვენების მოყვარულ ენთუზიასტებს აინტერესებთ ლოკალურ ბუნებასთან დაკავშირებული გამოცდილების მიღება***

შეხვედრა გერმანიის ბუნდესტაგის პრეზიდენტთან

საქართველოს პარლამენტის ინფორმაციით, პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბუნდესტაგის პრეზიდენტ ბერბელ ბასს შეხვდა.

მათი ცნობით, შალვა პაპუაშვილმა გერმანელ კოლეგას მადლობა გადაუხადა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის და სუვერენიტეტის, რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპირებული რეგიონების არაღიარების პოლიტიკის, ასევე, დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან საქართველოს ინსტიტუციური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მტკიცე მხარდაჭერისთვის.

მხარეებმა ისაუბრეს ევროკავშირის და ნატო-ს წევრობის გზაზე საქართველოსა და გერმანიის ნაბიჯებსა და მოლოდინებზე, უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის აგრესიასა და მის შედეგებზე, რეგიონში მიმდინარე მოვლენებსა და უსაფრთხოების გამოწვევებზე. ხაზი გაესვა, რომ უმაღლეს დონეზე შეხვედრები და ვიზიტები ეფუძნება მრავალწლიან ნაყოფიერ თანამშრომლობას კულტურის, განათლების, მეცნიერების და სხვა სფეროებში.

ბუნდესტაგის პრეზიდენტის ბერბელ ბასის განცხადებით, გერმანია მხარს უჭერს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციას და გასული სამი ათწლეულის მსგავსად, მომავალშიც გააგრძელებს ქვეყნის მხარდაჭერას.

ამირან გურიელიძე

არნახული გრიგალი, სეტყვა და ღვარცოფი - შუახევის მუნიციპალიტეტის სოფლებში

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ჟურნალისტური საქმიანობის თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში მრავალი სტიქიური პროცესის მომსწრე ვყოფილვარ, რაც 7 ივლისის საღამოს საათებში შუახევის მუნიციპალიტეტის სოფლების - ცინარეთის, დაბაძველისა და ბესელაშვილების, ნაწილობრივ მოფრინეთის, ლაკლაკეთის, დაბა შუახევის ტერიტორიებზე მცხოვრებ ფერმერებს თავს დაატყდათ, ჩემთვისაც კი წარმოუდგენელი იყო



მშობლიურ ცინარეთში მიწას ველოლიავები, ხეხილს ვაშენებ, მოსავალსაც ბარაქიანად ვიღებ. თავისუფალ დროს სოფელს მივაშურებ. ასე იყო იმ დღესაც. წვიმამ ეზოს ჭიშკართან მომისწრო. მალე კოკისპირული წვიმა სეტყვაში გადაიზარდა, რასაც გრიგალი დაერთო. სეტყვამ ზღვასავით მობიბინე სიმინდის ყანა ჩემ თვალწინ გაანადგურა, ჩამოყარა ჯერ კიდევ დაუმწიფებელი ხეხილი, ხეებს ფოთლები შემოაძარცვა, მტევნები დაუზიანა ყვავილობიდან გამოსულ ვაზს, მდინარეებად იქცა და გრუხუნით წამოვიდა ღელეები, ქარმა დაგლიჯა ტყეში ნაძვები, მეზობლის საკარმიდამოში - კაკლის ხეები. მოვარდნილ ღვარცოფებს მოჰქონდა ფერდობებზე გაშენებული ნათესებიდან მიწა და ბოსტნეულ-ბაღჩეული. ქარი საცხოვრებელ სახლებს აზანზარებდა, სახლის გვერდით, ნალიაში შენახული პროდუქტები წყალმა დაფარა... სტიქიის შემოტევა თითქმის ნახევარი საათი გრძელდებოდა. ამ დროს, როგორც «წესი», დენი გაითიშა. სოფელი იმ ღამით ჩაბნელებული იყო. დილით გაირკვა, რომ 10-კილოვოლტიან სადენებს დაგლეჯილი ნაძვის ხეები დასცემოდა. «ენერგო-პროტ ჯორჯიას» შუახევის ცენტრის მონტიორები დილის საათებში უკვე სტიქიის ზონაში იყვნენ და სოფელს დენი მალე აღუდგინეს, საავტომობილო გზებზე ტექნიკა გამოჩნდა, გზები მეწყერებისა და ღვარცოფების შედეგად დატოვებული ნარჩენებისგან გაიწმინდა, მაგრამ სტიქიამ დაზიანებული საცხოვრებელი სახლების მეპატრონეებს, ფერმერებს უდიდესი ზარალი და ტკივილი დაუტოვა.

- 90 წელს ვარ მიტანებული, მეხსიერებაც არ მღალატობს, მაგრამ მრავლის მომსწრეს ბუნების ასეთი შემოტევა არ მახსოვს. წვიმამ, ქარმა და სეტყვამ ფერმერთა ერთ ნაწილს წლის მოსავალი მთლიანად გაგვინადგურა. ჩვენს უბანში მცხოვრები 15-მდე ოჯახი მეწყრული პროცესის საფრთხის ქვეშაა, ახალი საცხოვრისის გამონახვას ვაპირებთ. ერთწლიანი კულტურების ნათესები კარგად გამოიყურებოდა თამაზ კეჟერაძის, შალვა, გერონტი, ოთარ ცინარიძეების, ომარ ხუჯაძის, მიხეილ, ვლასი აბუსელიძეების ზვრებში, ყურძენიც საუცხოო იყო, მაგრამ ნახევარი საათის განმავლობაში სტიქიამ ყველაფერი გაანადგურა, ცარიელ-ტარიელი დაგვტოვა, - თქვა უშანგი ბაიაძემ.

სეტყვა და ღვარცოფი მეტწილად უჩამბისა და დაბა შუახევის ადმინისტრაციული ერთეულების ტერიტორიაზე იყო, დაბა შუახევში მეწყერი ჩამოწვა ლევან აბაშიძის საცხოვრებელ სახლთან და პირველი სართული ნატანით აივსო. მეწყერში მოჰყვა მსუბუქი ავტომანქანები. ჯაბნიძეებში, ბესელაშვილებში, დაბაძველში რამდენიმე საცხოვრებელ სახლში ღვარცოფი შევარდა. ცინარეთში ყველაზე მეტად ჯამბულ ცინარიძე დაზარალდა.

სტიქიის ზონაში პირველები მივიდნენ შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი პაატა ქათამაძე და მერიის ზედამხედველობის სამსახურის სპეციალისტი ლევან აბუსერისძე. 9 ივლისს იყვნენ აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის უფროსი მამუკა თურმანიძე, მისი მოადგილე როლანდ ბოლქვაძე, რომლებიც ცინარეთი-რიკიხიდის საავტომობილო გზაზე გაწმენდის სამუშაოებს დაესწრნენ.

სტიქიის ადგილებში ასევე ჩავიდნენ შუახევის მუნიციპალიტეტის მერი ომარ ტაკიძე, ამავე მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე, რომლებმაც დაათვალიერეს იავარქმნილი ტერიტორიები და აღნიშნეს, რომ ზარალს სპეციალური კომისია შეისწავლის, დაზარალებული ოჯახები კომპენსაციებს მიიღებენ.

- კოკისპირული წვიმა და ქარიშხალი აჭარის მთიანეთის სხვა ტერიტორიებზეც იყო. მეწყერი ჩამოწვა ხულოს მუნიციპალიტეტში არსებულ საავტომობილო გზებზე, მაგრამ რაც ცინარეთში ვნახე, ენით აღუწერელია. ზოგიერთი ფერმერის მოსავალი მთლიანადაა განადგურებული. აქედან ქედის მუნიციპალიტეტში მივდივართ. გზები იქაც სერიოზულადაა დაზიანებული, - გვითხრა მამუკა თურმანიძემ.

უკრაინა

უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის განცხადებით, იგი არასდროს დათანხმდება რუსეთისთვის უკრაინის ტერიტორიის ნაწილის დათმობას. მას ABC News-თან ინტერვიუში შეკითხვა დაუსვეს Washington Post-ის მიერ გავრცელებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომლის თანახმად უკრაინელმა ოფიციალურმა პირებმა აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს დირექტორ უილიამ ბერნსს კიევში ვიზიტისას განუცხადეს, რომ კონტრშეტევის მიზანი ყირიმის საზღვრებთან მიახლოება და შემდეგ რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან მოლაპარაკების დაწყებაა. „აბსოლუტურად ნათელი, ლოგიკური რიტორიკაა, რომ იმ მომენტში, როდესაც უკრაინა დროებით ოკუპირებულ უკრაინის ნახევარკუნძულ ყირიმის ადმინისტრაციულ საზღვარს მიაღწევს, დიდი ალბათობით, პუტინი იძულებული გახდება, ცივილიზებულ სამყაროსთან დიალოგი სცადოს, განსხვავებით სრულმასშტაბიან შეჭრამდე, რადგან ის დასუსტდება“, - განაცხადა ზელენსკიმ.

* * *

უკრაინის თავდაცვის ძალები მელიტოპოლისა და ბერდიანსკის მიმართულებით წინსვლას აგრძელებენ, - ამის შესახებ უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ანგარიშშია აღნიშნული. გენშტაბის ცნობით, რუსები აგრძელებენ ძირითადი ძალისხმევის ფოკუსირებას ლიმანის, ბახმუტის, ავდიივკასა და მარინკას მიმართულებებზე. რუსული ძალები ბახმუტის მიმართულებით შეტევას ახორციელებდნენ, იბომბებოდა უკრაინელების პოზიციები ავიაციისა და არტილერიის გამოყენებით, მაგრამ უკრაინელმა ჯარისკაცებმა მოიგერიეს მტრის თავდასხმები დონეცკის ოლქის დუბოვო-ვასილევკას დასახლების მიდამოებში. „მტერმა საჰაერო დარტყმები ასევე განახორციელა ალექსანდრო-შულტინოსა და სევერნოეს დასახლებების მიდამოებში. საარტილერიო დაბომბვის შედეგად 15-ზე მეტი დასახლება დაზარალდა“, - აცხადებენ გენშტაბში. ლიმანის მიმართულებით, რუსები შტურმს ახორციელებდნენ და ცდილობდნენ უკრაინელი ჯარისკაცების გაძევებას დაკავებული პოზიციებიდან დონეცკის ოლქის სპორნოეს დასავლეთ ნაწილში, მაგრამ უშედეგოდ. გენერალური შტაბის ცნობით, თავდაცვის ძალები აგრძელებენ რუსული ჯარების შეტევის შეკავებას ავდიივკას რაიონში. „მტრის საარტილერიო ცეცხლის ქვეშ ჩვენმა დამცველებმა მოიგერიეს ყველა შეტევა ქალაქ მარინკას მიდამოში. მტერმა საჰაერო დარტყმა განახორციელა დონეცკის ოლქის კრასნოგოროვკასთან“, - აცხადებენ გენშტაბში. მათივე ინფორმაციით, რუსებმა საჰაერო დარტყმა განახორციელეს ჩერნიგოვის ოლქის გრემიაჩის რაიონში, ასევე ხარკოვის ოლქის კოლოდეზნოესა და კისლოვკას რაიონებში. ასევე, დღის განმავლობაში, რუსულმა ძალებმა ნაღმტყორცნებიდან და არტილერიიდან ცეცხლი გაუხსნეს დონეცკის, ლუგანსკის, სუმის, ჩერნიგოვისა და ხარკოვის ოლქების დასახლებულ პუნქტებს.

* * *

აშშ-ის პრეზიდენტმა CNN-თან ინტერვიუში განაცხადა, რომ სანამ ალიანსი კიევის თავის რიგებში მიღებას განიხილავს, უკრაინაში რუსეთის ომი უნდა დასრულდეს. „არა მგონია, ნატოს ქვეყნები ერთსულოვანი იყოს იმასთან დაკავშირებით, შემოუერთდეს თუ არა უკრაინა ალიანსს ახლა, ამ მომენტში, ომის შუაგულში. მაგალითად, თუ ეს ახლა მოხდება, მაშინ თქვენ იცით - და მე ვგულისხმობ იმას, რასაც ვამბობ - ჩვენ ვალდებული ვართ ნატოს ტერიტორიის თითოეული ინჩის მიმართ. ეს არის ვალდებულება, რომელიც ჩვენ ყველამ ავიღეთ, რაც უნდა მოხდეს. თუ ომი გაგრძელდება, მაშინ ყველანი ომში ვიქნებით რუსეთთან", - აღნიშნა ბაიდენმა. მისივე თქმით, ამ საკითხზე ვრცლად ესაუბრა უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის და უთხრა, რომ აშშ უკრაინის დახმარებას გააგრძელებს. „ვფიქრობ, ჩვენ უნდა შევადგინოთ რაციონალური გზა, რათა უკრაინამ შეძლოს ნატოში გაწევრიანებისთვის მომზადება“, - განაცხადა ბაიდენმა და დასძინა, რომ ომის დაწყებამდე უარი თქვა რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის მოთხოვნებზე, უკრაინა ალიანსში არ მიეღოთ, რადგან ნატოს აქვს ღია კარის პოლიტიკა. „მაგრამ ვფიქრობ, რომ ნაადრევია ხმის მიცემისკენ მოწოდება ახლა, რადგან არის მოთხოვნები, რომლებიც უნდა დაკმაყოფილდეს, მათ შორის, დემოკრატიზაცია და ზოგიერთი სხვა საკითხი“, - აღნიშნა ბაიდენმა.

* * *

უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა დმიტრო კულებამ განაცხადა, რომ დისკუსიის შემდეგ ნატოს წევრი ქვეყნები შეთანხმდნენ, ალიანსში გაწევრიანების გზაზე უკრაინისთვის წევრობის სამოქმედო გეგმა გააუქმონ. „ინტენსიური დისკუსიების შემდეგ, ნატოს მოკავშირეებმა მიაღწიეს კონსენსუსს MAP-ის გაუქმებაზე უკრაინის ალიანსში გაწევრიანების გზაზე“, - განაცხადა კულებამ. საგარეო საქმეთა მინისტრი მიესალმა ამ გადაწყვეტილებას, რომელიც, როგორც მან აღნიშნა, უკრაინის ნატოსკენ მიმავალ გზას შეამოკლებს. „ეს ასევე საუკეთესო დროა იმისთვის, რომ მკაფიოდ ვისაუბროთ უკრაინის ალიანსში გაწევრიანების შესახებ“, - დასძინა კულებამ. მანამდე უკრაინის ვიცეპრემიერმა ოლგა სტეფანიშინამ აღნიშნა, რომ ნატოს მთელი აღმოსავლეთი ფლანგი, ისევე როგორც დასავლეთ ევროპის რამდენიმე ქვეყანა, უკრაინის ახლავე გაწევრიანების მომხრეა. მას ასევე სჯერა, რომ ნატოს შეუძლია ომის დროსაც კი მიიწვიოს უკრაინა გასაწევრიანებლად და დაასრულოს პროცესი.

* * *

უკრაინის უსაფრთხოების გარანტიები, რომლებსაც დასავლელი პარტნიორები განიხილავენ, იქნება მისი თავდაცვის უზრუნველყოფის საშუალებების და მისი შესაძლებლობების გაძლიერება. ამის შესახებ საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კატრინ კოლონამ RFI-სთან ინტერვიუში განაცხადა. კოლონამ განაცხადა, რომ საფრანგეთს სურს ვილნიუსის ნატოს სამიტმა უკრაინის მიმართ ალიანსის გრძელვადიანი მხარდაჭერა უზრუნველყოს და ნატოში გაწევრიანების პერსპექტივას კონკრეტული მნიშვნელობა მიანიჭოს. „ეს აუცილებელია, თუ გვინდა ვიმოქმედოთ იმ დროის შესაბამისად, რომელშიც ახლა ვცხოვრობთ“, - თქვა მან. ამავდროულად, პარიზი ზოგიერთ პარტნიორთან უსაფრთხოების გარანტიების იდენტიფიცირებაზე მუშაობს, რომლებიც მათ შეუძლიათ უკრაინას ნატოში მისი ინტეგრაციის პროცესის პარალელურად მისცენ. „ეს გარანტიები ჯერ კიდევ განიხილება, მაგრამ მათი მიზანი ძალიან მკაფიო იქნება: მოკლევადიან პერსპექტივაში უკრაინისთვის თავდაცვის უზრუნველყოფის საშუალებების მიწოდება“, - თქვა კოლონამ. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ არსებობს გარკვეული ლოგიკა იმ ქვეყნისთვის გარანტიების მიცემაში, რომელიც ყოველდღიურად რეალურად იცავს ევროპას და მოქმედებს, როგორც მისი უსაფრთხოების გარანტი. მანამდე აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა დაადასტურა, რომ უკრაინელ კოლეგასთან ვოლოდიმირ ზელენსკისთან საუბარში მან ისეთი უსაფრთხოების გარანტიების საკითხი განიხილა, როგორიც ისრაელს აქვს.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

«ჩვენი მუშაობის მთავარი მიმართულება მოსახლეობაზე ზრუნვა იქნება»

შუახევის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლად ზამლეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, ერთი თვის წინ, ნიგაზეულის საჯარო სკოლის პედაგოგი ბიჭიკო ხიმშიაშვილი დაინიშნა. იგი ჩვენი სტუმარია

- რამდენად ელოდით, რომ პედაგოგი ამ პოსტზე დაინიშნებოდით?

- მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება «ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს» კოორდინატორი ვიყავი ზამლეთის ადმინისტრაციულ ერთეულში. რამდენიმე არჩევნები გამოვიარეთ და კარგი შედეგებიც გვქონდა. სადაც ნდობაა, იქ მინდობილი საქმისადმი მაღალი პასუხისმგებლობაც უნდა იყოს. ვაგრძელებ იმ საქმეებს, მოსახლეობის კეთილდღეობაზე ზრუნვის პროგრამებსა და პროექტებს, რომელიც ქვეყნის, რეგიონისა და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის თანადგომით, ჩემმა წინამორბედებმა მალხაზ ხიმშიაშვილმა და ივერი კაკალაძემ დაიწყეს.

- გამოდის, რომ კარგი მემკვიდრეობა გერგოთ?

- ზამლეთის ადმინისტრაციულ ერთეულში ოთხი სოფელია. რაც 11 წლის განმავლობაში ამ სოფლებში გაკეთდა, თაობები ოცნებობდნენ ამაზე. ზოგიერთს ვერც კი წარმოედგინა, რომ შესაძლებელი იყო 29 კილომეტრიდან ფურტიოში, ბუთურაულსა და ნენიაში სასმელი და სარწყავი წყლის გამოყვანა, რომელიც ბიუჯეტს ხუთ მილიონ ლარზე მეტი დაუჯდა. ჩვენ კი ამის მომსწრე და მოთავენიც ვართ. დღეს აჭარის მთიანეთის სხვა სოფლებსაც გაუჩნდათ პრეტენზია, ჰქონდეთ ისეთივე სკოლის შენობა, როგორიც ფურტიოს ლევან ბერიძის სახელობის სკოლაა. ფურტიო მოსახლეობის რაოდენობით ყველაზე დიდი სოფელია შუახევში. ასეთი გზა, ინფრასტრუქტურა სხვა არცერთ სოფელში არ გვაქვს. პირველი მოასფალტებული გზები აქ და ნენიაში შევიდა. სოფლების ცენტრების კეთილმოწყობის კამპანია ფურტიოდან დაიწყო. უბნებში მისასვლელ გზებზე ბეტონის საფარიც აქ იგება.

- წლის მთავარ პროექტად რა რჩება?

- ნიგაზეული სელიმ და შერიფ ხიმშიაშვილების სამკვიდროა. მრავლის მთქმელი და მეტყველია იმ საგვარეულო ციხის ნაშთები, რომლებიც სოფელში გვაქვს. სოფლის ერთ უბანშია სელიმ ხიმშიაშვილის საფლავი. ეს ორი ლოკაცია ქვეყნის ტურისტულ რუკაზეა დატანილი და უცხოელი, ადგილობრივი ვიზიტიორი არ აკლია. წელს 284 ათასი ლარია მობილიზებული სოფლის ცენტრის კეთილმოსაწყობად, რაც ერთხელ კიდევ მიანიშნებს იმ დიდ ყურადღებასა და თანადგომაზე, რომელსაც მმართველი პარტია ამ სოფლის მიმართ იჩენს.

- დროში გაიწელა ნიგაზეულის საგვარეულო ციხის რესტავრაცია-კონსერვაციის სამუშაოები?

- სოფელი, ხიმშიაშვილების საგვარეულო კავშირი, ამაგს ვერ დავუკარგავთ ცნობილ მეცნიერსა და მეცენატ თეიმურაზ კომახიძეს. მისი ინიციატივით, კეთილმოეწყო სელიმ ხიმშიაშვილის საფლავი, მანვე დაიწყო ციხის რესტავრაცია-კონსერვაციის სამუშაოები, რომელიც ახლა მოქმედი პარლამენტარის ანზორ ბოლქვაძის ფირმამ «ფონი» გააგრძელა. მისთვის «ერთიანი ნაციონალური მოძრაობის» ლიდერებს ხელი რომ არ შეეშალათ, ახლა ციხე ნორმალურ მდგომარეობაში იქნებოდა. ქვეყნის, აჭარის კულტურულ მემკვიდრეობათა დაცვის სააგენტოები ზრუნავენ ისტორიული ძეგლის გადარჩენისთვის. იმ 284 ათასი ლარიდან, რომელიც ცენტრის კეთილმოსაწყობადაა გამოყოფილი, ციხესთან მისასვლელ გზაზე, სელიმის საფლავთან საყრდენი კედლები გაკეთდება.

- სოფელ ნენიაში, ალტერნატიული ბაღია. მოსახლეობა ბაგა-ბაღის შენობის აგებას ითხოვს. მშენებლობის დაწყება რატომ ჭიანურდება?

- ნენიის ცენტრში არ გამოინახა ტერიტორია ბაგა-ბაღის შენობისთვის. ადგილის შესარჩევად კონკურსი გამოცხადდება და გამარჯვებული კომპანია მშენებლობას დაიწყებს.

- შუახევის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ხელმძღვანელებმა მოსახლეობის წარმომადგენლებთან საზაფხულო შეხვედრები ზამლეთის მუნიციპალიტეტიდან დაიწყეს. ამ ღონისძიების მიზანი რა არის?

- სოფლის მკვიდრებმა მერსა და საკრებულოს თავმჯდომარეს რიგი სოციალური და ეკონომიკური პრობლემების მოგვარებაში თანადგომა სთხოვეს. ამ პრობლემების მოგვარება, «სოფლის მხარდაჭერის პროგრამით» მობილიზებული თანხების მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით განკარგვა და მისი დროული ათვისება იყო ამ შეხვედრების მთავარი მიზანი.

- ფურტიოელებმა რაგბის სტადიონის კეთილმოწყობა ითხოვეს...

- ქვეყნის პრემიერ-მინისტრის ინიციატივით რამდენიმე ლოკაციაზე რაგბის სტადიონის კეთილმოწყობაა გათვალისწინებული. შუახევის მუნიციპალიტეტის მერმა ომარ ტაკიძემ აღნიშნა, რომ სტადიონის კეთილმოწყობა მალე დაიწყება და იგი თანამედროვე სტანდარტების შესაფერისი პირველი სპორტული არენა იქნება აჭარის მთიანეთში.

- საზოგადოებას ისეთი ფაქტებიც ახსოვს, როცა პედაგოგი ხელმძღვანელ თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ, პირველ რიგში, ყოფილ კოლეგებს უპირისპირდებოდა...

- წარმოუდგენელია, რომ კოლეგებს დავუპირისპირდე. მე პედაგოგად მუშაობის უფლება მაქვს და მას უეჭველად გამოვიყენებ, ისევ ჩემი კოლეგების გვერდით ვიქნები. ამ ეტაპზე სკოლაზე, სკოლამდელ დაწესებულებაზე გადის ჩვენი სოფლების გადარჩენის გზა და მას თავისებური მიდგომა სჭირდება. ოთხივე სოფელში სამსაფეხურიანი საჯარო სკოლები, სამ სოფელში ბაგა-ბაღები გვაქვს. იქ დასაქმებულ პედაგოგებს, აღსაზრდელებს, პერსონალს ჩემგან მორალური, მატერიალური და კოლეგიალური თანადგომა არ მოაკლდებათ.

- ქვეყანასა და თითოეულ სოფელში ტურიზმის განვითარებისთვის ხელშეწყობა მთავარ მიმართულებად რჩება. ზამლეთში რა მდგომარეობაა?

- ნიგაზეულის ციხესა და სელიმ ხიმშიაშვილის საფლავზე უკვე ვთქვი. ნიგაზეულში გვაქვს სელიმის სახლ-მუზეუმი, მის სიახლოვეს რამდენიმე საოჯახო სასტუმრო მოქმედებს. ორი ტურისტული ობიექტია ფურტიოში. ისტორიული წარსულისაა სოფელ ნენიაში არსებული ტერიტორიები შამანაური და დედეშვილები. ნენიაში ეკლესიაც ყოფილა. მისი ნაშთების კვლევა სათანადო სამსახურების უპირველეს მოვალეობად უნდა იქცეს. ბუთურაულში, ეკლესიის ნანგრევების სიახლოვეს, შემონახულია ჯვარდასმული საფლავი, რაც იშვიათობაა... ამ პოტენციალის გამოყენება ტურიზმის განვითარებას შეუწყობს ხელს.

- ბუთურაულში მიმდინარე მეწყერულ პროცესებს და ამ ფონზე დაზარალებულ ოჯახებს რა ბედი ელით?

- ჩემს წინამორბედს, შუახევის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებს კარგად ახსოვთ ის აქციები, რომელიც ბუთურაულში სტიქიის შემოტევას მოჰყვა. აქციის მოთავენი ცდილობდნენ, სტიქიური პროცესები პოლიტიკურ დაპირისპირებაში გადაეზარდათ. საზოგადოებამ კარგად იცის, თუ ვინ მართავდა მათ. აქციაში მეტწილად ისეთები იყვნენ ჩართულნი, რომლებსაც საკომპენსაციო თანხები ადრე ჰქონდათ მიღებული... უკვე დაზუსტებულია ის ოჯახები, რომლებიც მეწყერული პროცესების არეალში არიან მოქცეულნი. ისინი 35 ათასი ლარის დახმარებას მიიღებენ.

- ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ერთიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულთა პატივგების ნიშნად, ზამლეთის ცენტრში მემორიალია გაკეთებული. სავალალო მდგომარეობაშია მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა მემორიალური დაფები.

- სოფლების ცენტრების კეთილმოწყობას, ხსოვნის მემორიალების კეთილმოწყობაც მოჰყვება. უცხოელი და ადგილობრივი ვიზიტიორები მათაც გამორჩეულ მნიშვნელობას ანიჭებენ. გარდა ამისა, მეტ ყურადღებას ითხოვს ისტორიული და მატერიალური კულტურის ძეგლები, საკულტო ნაგებობები. ფურტიოში შესანიშნავი არქიტექტურის, ლაზური სტილით ნაგები საცხოვრებელი სახლია. მას კარგად უვლის ბიზნესმენი ამირან ბერიძე. შენობა ისე შეაკეთა, რომ ადრინდელი არქიტექტურა შეუნარჩუნა. ფურტიოში, ნიგაზეულში, ბუთურაულსა და ნენიაში მრავალი ისტორიული პიროვნება, სახელმწიფო მოხელეა დაბადებული. ინიციატივას ვიღებ, რომ მათი შთამომავლების ჩართულობით, საფლავები მოწესრიგდეს და საცხოვრებელ სახლებს მემორიალური დაფები გაუკეთდეს.

- ერთ დროს ელვაური სილამაზით გამორჩეული ტერიტორია იყო. ახლა მას იერს უკარგავს უსახური შენობა. მის დემონტაჟს როდის აპირებთ?

- ეს შენობა იმ დროს აიგო, როცა ოთხი სოფლის ბაზაზე ზამლეთის კოლმეურნეობა მოქმედებდა. თავის დროზე ყურადღება რომ გამოეჩინათ, შენობა დღეს ასეთ სავალალო მდგომარეობაში არ იქნებოდა. ეს ტერიტორია, სხალთის ეპარქიის დაქვემდებარებაშია. აქ თურქეთის ტერიტორიაზე არსებული «ოთხთას» მსგავსი ტაძრის აშენებას გვპირდებიან. ეს ტაძარი სხალთის ხეობის საავიზიტო ბარათი იქნება.

გვერდი მოამზადა
ოთარ ცინარიძემ

> *„მეტ ყურადღებას ითხოვს ისტორიული და მატერიალური კულტურის ძეგლები, საკულტო ნაგებობები. ფურტიოში შესანიშნავი არქიტექტურის, ლაზური სტილით ნაგები საცხოვრებელი სახლია. მას კარგად უვლის ბიზნესმენი ამირან ბერიძე. შენობა ისე შეაკეთა, რომ ადრინდელი არქიტექტურა შეუნარჩუნა. ფურტიოში, ნიგაზეულში, ბუთურაულსა და ნენიაში მრავალი ისტორიული პიროვნება, სახელმწიფო მოხელეა დაბადებული. ინიციატივას ვიღებ, რომ მათი შთამომავლების ჩართულობით, საფლავები მოწესრიგდეს და საცხოვრებელ სახლებს მემორიალური დაფები გაუკეთდეს*

100 წლის იუბილე მიულოცეს

ქედის მუნიციპალიტეტში ორი 100 წლის და ერთი 100 წელს გადაცილებული უხუცესი ქალბატონი ცხოვრობს. დაბადებიდან 100 წელი ამ დღეებში სოფელ კოკოტაურში მცხოვრებ ნესიხე ხალვაშს შეუსრულდა. ქედის მუნიციპალიტეტის მერი როლანდ ბერიძე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, სოფელ კოკოტაურში იმყოფებოდა, საუკუნის თანატოლ ქალბატონს იუბილე მიულოცა და სამახსოვრო საჩუქარი გადასცა. გარდა ამისა, ნესიხე ხალვაშის ანგარიშზე 1000 ლარი დაირიცხა.

ნესიხე ხალვაში 1923 წელს სოფელ გოგიაშვილებში, დავითაძეების ოჯახში დაიბადა, ჰყავს 4 შვილი, 7 შვილიშვილი და 6 შვილთაშვილი.

- საუკუნის თანატოლ ადამიანებს ყოველთვის მოვეფერებით. ჯერჯერობით, ამ ასაკის მამაკაცი არ გვყავს. ქედის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის სახელით ვულოცავთ უხუცეს ქალბატონს 100 წლის იუბილეს, ჯანმრთელობას და დღეგრძელობას ვუსურვებთ, - თქვა როლანდ ბერიძემ.

აუზი რომ უსაფრთხო იყოს...

ქეთევან კილაძე 593 73 45 74

აუზზე სიარული ზაფხულობით განსაკუთრებულად აქტუალური ხდება, მაგრამ ბევრმა არ იცის, როდის არის უსაფრთხო ჩვენი ვიზიტები აუზზე.

აუზისა და წყლის სისუფთავე ჯანმრთელი ცურვის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. წყალს აბინძურებს თვითონ ადამიანი, თუ აუზი ღიაა - ჩიტების ექსკრემენტები, წვიმის წყალი, ქარის დროს მოტანილი მტვრის ნაწილაკები... ასე რომ, დეზინფექცია აუცილებელია.

დეზინფექციის რამდენიმე მეთოდი არსებობს: დაქლორვა, ბრომირება, იზონირება, ულტრაიისფერი დასხივება და სხვა.

დაქლორვა ყველაზე გავრცელებული მეთოდია, რადგან იაფი და საკმაოდ ეფექტურია. ქლორი გვიცავს საშიში პათოგენებისგან, როგორიცაა ნაწლავის ჩხირი, როტავირუსი, სალმონელა, შიგელა, ადენოვირუსი, ფსევდომონა... დაქლორილი წყლის PH 7,2-7,8 უნდა იყოს, ამაზე მაღალი PH-ის შემთხვევაში იკლებს თავისუფალი ქლორის ინფექციებთან ბრძოლის ხარისხი, ხოლო PH თუ 7,0-ზე დაბალია, წყალმომარაგების სისტემის მილები ზიანდება. PH-ის 7,2-7,8 დიაპაზონში შენარჩუნება მოცურავეთა კომფორტს უზრუნველყოფს - მინიმუმამდე მცირდება თვალებისა და კანის გაღიზიანების ალბათობა.

სრულყოფილ დაცვას დაქლორვა ვერ უზრუნველყოფს, რადგან ზოგიერთი პარაზიტი (მაგ. ლამბლია და კრიპტოსპორიდიუმი) ქლორით დამუშავებულ წყალშიც გადარჩება. კრიპტოსპორიდიუმი აუზში 1 კვირა ცოცხლობს, იგი ადამიანისა და ცხოველის ნაწლავებში ბინადრობს და ფეკალიებით ვრცელდება. ამ პარაზიტით გამოწვეულ დაავადებას ახასიათებს დიარეა, გაუწყლოება, წონის კლება, კუჭისა და ნაწლავების ყურყური, ტკივილი, სიცხე, გულისრევა. დაინფიცირების ალბათობა წელიწადში 1000 მოცურავეზე 25 შემთხვევაა.

ძალიან სახიფათოა ბავშვების ერთჯერადი საცურაო საფენები - მათი დასვრიდან 5 წუთში თავისუფლდება პათოგენები, რომლებიც ადამიანს აინფიცირებს, ამიტომ თუ ბავშვს ავადობის რაიმე სიმპტომები აღენიშნება (დიარეა, კონიუნქტივიტი, გამონაყარი კანზე...), აუზში ნუ ჩაიყვანთ, რადგან, უფროსებისგან განსხვავებით, მათ უჭირთ ფიზიკური მოთხოვნილებების შეკავება. ჯანმრთელ პატარებს საფენი 30-45 წუთში ერთხელ გამოუცვალეთ. ბავშვებს აუცილებლად ასწავლეთ, პირში მოხვედრილი წყალი არ გადაყლაპონ, გამოაფურთხონ.

ჭარბი ქლორი იწვევს ალერგიულ რეაქციას - თვალების, კანის ქავილს, ცემინებას, ხველას, ამიტომ მკაცრად უნდა გაკონტროლდეს წყალში მისი რაოდენობა.

ქლორის მძაფრი სუნი სულაც არ ნიშნავს, რომ წყალი სუფთაა და თქვენც ზედმიწევნით ხართ დაცული. პირიქით, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოთ ამის შესახებ აუზის თანამშრომლებს, რადგან მძაფრი სუნი სინამდვილეში სადეზინფექციო საშუალებებისა და არასასურველი ორგანული ნივთიერებების (ოფლი, შარდი, ფეკალიები, მზისგან დამცავი და პირადი ჰიგიენის საშუალებები) შერევის შედეგია, ამ დროს წარმოქმნილი ქლორამინები კი საშიშია ჯანმრთელობისთვის, რადგან სასუნთ და საჭმლის მომნელებელ სისტემებში ადვილად ხვდება. მათი არსებობა განსაკუთრებით შემაწუხებელია დახურულ აუზში, რადგან იქ ვენტილაცია შეზღუდულია. ამ ნივთიერებების წარმოქმნისგან თავის არიდების ერთადერთი მარტივი საშუალებაა აუზში ჩასვლამდე შხაპის მიღება და ყოველგვარი საცხის, მტვრისა და ჭუჭყის ჩამობანა.

მოცურავისთვის ხშირად პრობლემას ქმნის გარეთა ყურის ანთება, ამის თავიდან ასაცილებლად კი რეკომენდებულია:

ცურვის დროს ყურის არხში ჩაიდოთ სპეციალური სილიკონის საცობი; აუზიდან ამოსვლის შემდეგ ყური გაიმშრალოთ რბილი პირსახოცით; არ შეიყოთ ყურში უცხო საგნები, მათ შორის არც ბამბის ჩხირი, მან შეიძლება გააღიზიანოს და დააზიანოს გარეთა სასმენი არხის თხელი კანი.

ქლორიან წყალში ცურვის შემდეგ შესაძლოა განვითარდეს წითელი თვალის სინდრომიც. დისკომფორტის შესამსუბუქებლად ცურვის შემდეგ ჩამოიბანეთ თვალები თბილი წყლითა და ანტიალერგიული საპნით ან ჩაიწვეთეთ ხელოვნური ცრემლი. ასევე, სასურველია წყლის სათვალის გამოყენება ცურვის დროს.

კანის დაავადებათა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სოკოვან დაავადებებს - მიკოზებს. განსაკუთრებით გავრცელებულია ტერფისა და ფრჩხილის სოკო. მაპროვოცირებელი ფაქტორებია მჭიდრო და დახურული ფეხსაცმელი, ზოგიერთი ქრონიკული დაავადება, იმუნური სისტემის დასუსტება.

ფეხის ჰიგიენა საგრძნობლად ამცირებს სოკოვანი დაავადების რისკს:

ნუ ივლით ფეხშიშველი საერთო საშხაპეებსა და გასახდელებში; დაბანის შემდეგ კარგად გაიმშრალეთ კანი თითებს შორის; ჭარბი ოფლიანობის შემთხვევაში გამოიყენეთ ფეხის ტალკი.

როცა სველი საცურაო კოსტიუმი დიდხანს გაცვია, სასქესო ორგანოების ლორწოვანი გარსი დიდხანს რჩება თბილ და ტენიან გარემოში, რაც ხელს უწყობს ვაგინალური ინფექციების განვითარებას. პრევენცია ჰიგიენის ადეკვატურ დაცვას გულისხმობს: შეძლებისდაგვარად მალე გაიხადეთ სველი საცურაო კოსტიუმი; ერიდეთ ნოტიო რბილ შეზლონგზე დიდხანს ჯდომას, ნურც აუზის ნაპირზე ჩამოჯდებით. ცურვის შემდეგ წყლის გადავლება არ არის საკმარისი - აუცილებელია დაბანა საპნით ან შხაპგელით და ღრუბლით, რათა კანი მთლიანად გასუფთავდეს ქლორისა და სხვა სადეზინფექციო საშუალებების ნარჩენებისგან.

აუზით სარგებლობა იკრძალება გულისა და თირკმელების თანდაყოლილი პათოლოგიების, ინფექციური დაავადებების, კანის მწვავე დაავადებების დროს.

ქარისგან მოგლეჯილმა ხეებმა მანქანები დააზიანა

ბათუმში ძლიერი ქარისა და წვიმის შედეგად რამდენიმე ხე წაიქცა. ადგილობრივების ინფორმაციით, მოგლეჯილი ხეები ექვს ავტომობილს დაეცა.

დაზარალებული მოქალაქეები აცხადებენ, რომ შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა, თუმცა მსუბუქი ავტომობილები მნიშვნელოვნად დაზიანდა.

შემთხვევის ადგილზე სამაშველო სამსახურის თანამშრომლები და ბათუმის მერიის წარმომადგენლები მივიდნენ. ტერიტორიაზე გაწმენდითი სამუშაოები დაიწყო.

საქართველოში 12 ივლისის დილამდე მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა, ზოგან - ძლიერი, აღმოსავლეთ საქართველოს ცალკეულ რაიონებში - სეტყვა.

ამირან გურიელიძე

მსოფლიოს ექსტრემალური ამინდები ელის

გაეროს მსოფლიო მეტეოროლოგიურმა ორგანიზაციამ ელ-ნინიოს დასაწყისი ოფიციალურად დაადასტურა და ამით მსოფლიოს მოსახლეობა მომავალი გვალვის შესახებ გააფრთხილა.

ექსპერტების აზრით, ელ-ნინიოს კლიმატური ფენომენი, რომელიც გლობალური ტემპერატურის მატებას იწვევს, უკვე დაწყებულია. სპეციალისტების ქვეყნებს მოუწოდებენ, ადამიანის ჯანმრთელობასა და სურსათის უსაფრთხოებაზე შესაძლო შედეგებისთვის მოემზადონ. მათი მტკიცებით, ამინდის ამ ფენომენის მოქმედება მთელი 2023 წლის განმავლობაში გაგრძელდება და 2024 წლის ნაწილსაც მოიცავს. კლიმატის ეს აღნიშნული ნიმუში ბუნებრივად გვხვდება და იწვევს ტემპერატურის მატებას და გვალვას ან ძლიერ წვიმას მსოფლიოს ზოგიერთ ნაწილში. ელ-ნინიო ხდება საშუალოდ 5-7 წელიწადში ერთხელ და დაახლოებით ერთი წელი გრძელდება. უკანასკნელად რეკორდულად თბილი 2016 წელი იყო, როდესაც ყველაზე ძლიერი ელ-ნინიო დაფიქსირდა. ამა წლის მაისში გაერომ გამოაცხადა, რომ ტემპერატურის რეკორდი მომდევნო 5 წელიწადში მოიხსნება.

ამირან გურიელიძე

არასრულწლოვანი საავადმყოფოში გადაიყვანეს

ბათუმში, ჭავჭავაძისა და ბარათაშვილის ქუჩების კვეთაში ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად არასრულწლოვანი დაშავდა, რომელიც სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ ბათუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოში

გადაიყვანა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ კლინიკაში განუცხადეს, მოზარდის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეაა და იგი რეანიმაციულ განყოფილებაში იმყოფება.

ამირან გურიელიძე

„დღეს უკრაინაში ის რუსული იმპერიალიზმი მარცხდება, რომელიც საქართველომ არაერთხელ გამოსცადა“

მე-3 გვერდიდან

წევრს ემსგავსები. ოღონდ ეს ცუდი პროცესი კი არ არის, არამედ ამ გზის გავლისას იმავე სარგებელს იღებ, რაც იმ ქვეყნებში უკვე არსებობს. ადამიანები იმიტომ მიგრირებენ პოლონეთში, რომ პოლონური პოლიტიკური და ეკონომიკური გარემო მოსწონთ. თუკი ასეთ გარემოს აქ შექმნი, არავინ არსად წავა. გულახდილები რომ ვიყოთ, საქართველო ბევრად ადვილად შეიძლება ფორმირდეს ევროპული ტიპის ეკონომიკად და პოლიტიკურ ძალად, ვიდრე იგივე უკრაინა და მოლდოვა, რომლებსაც ამისთვის საქართველოზე დიდი გზა აქვთ გასავლელი.

- დაბოლოს, გვერდს ვერ ავუვლით არასასიამოვნო ფაქტს - პრეზიდენტმა ზელენსკიმ საქართველოს ელჩს უკრაინის ტერიტორიის დატოვება მოსთხოვა. ეს რამდენად დააზიანებს ქართულ-უკრაინულ ურთიერთობებს და ამ მხრივ დასავლეთს რა პოზიტიური ქმედებების განხორციელება შეუძლია?

- ნამდვილად უსიამოვნო, ცუდი და, ჩემი აზრით, გარკვეულწილად, ნაჩქარევი ნაბიჯები გადაიდგა, მაგრამ ქართულ-უკრაინული ურთიერთობები ერთ დღეში არ დაძაბულა, უმთავრესი მიზეზი კი რიტორიკა იყო. საქართველოს ხელისუფლების მხრიდან უკრაინაში ომის დაწყებამდე თუ ომის დაწყებიდან რიტორიკა უკრაინისადმი საკმაოდ კრიტიკული გახლდათ, ის კი არა, უკრაინა, როგორც ნეგატიური მაგალითი, ისე იყო ხოლმე წარმოდგენილი საქართველოს მთავრობის წევრების მიერ. ასე ომში მყოფ მოკავშირე სახელმწიფოზე საუბარი საქართველოსთვის არანაირი სარგებლის მომტანი არაა. მოკავშირის მხრიდან მხარდაჭერის ნაცვლად ცარიელი კრიტიკა და ლანძღვა რომ მოდის, ეს ურთიერთობებს ორმაგი სისწრაფით აფუჭებს, ვიდრე მტრებს შორის ხდება ხოლმე (მტრები ერთმანეთს მეგობრობას არ ჰპირდებიან). ამასობაში რუსეთთან პოლიტიკური ფლირტი კიდევ უფრო ცუდად გამოიყურება. შეიძლება სოლიდარული არ იყო უკრაინისადმი (არადა, ჩვენ ყველაზე კარგად ვიცით, რა არის რუსული აგრესია და ამ ფონზე რთულია, არ გქონდეს სოლიდარობის განცდა), მაგრამ პრაგმატული იქნებოდა, არ დაუპირისპირდე ძალას, რომელიც შენი მტრის მტერია. დღეს უკრაინაში ის რუსული იმპერიალიზმი მარცხდება, რომელიც საქართველომ არაერთხელ გამოსცადა. ვიმედოვნებ, მალე საქართველოს ხელისუფლება შეძლებს, გვერდზე გასწიოს შიდა პოლიტიკური გემოვნება და წინ სახელმწიფოს ინტერესები დააყენოს.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომცემელი ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და აჯარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბალდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეოდოვის ქ. №2
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 10/07/23, 21 30 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

იან მაკსინის ჯადოსნური ჰანგები ბათუმში აჟღერდა

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

მსოფლიოში აღიარებულმა ვიოლონჩელისტმა, კომპოზიტორმა, პოლიგლოტ-ვოკალისტმა იან მაკსინმა ბათუმის ზღვისპირა პარკის საზაფხულო თეატრში კონცერტი გამართა

არაჩვეულებრივი მუსიკოსის შემოქმედება მსოფლიო მუსიკის მრავალფეროვან და განსხვავებულ ჟანრებს აერთიანებს. ის უკრავს როგორც კლასიკას, ისე ჯაზს, ბლუზს, როკს, ეთნიკურ მუსიკას, მღერის მრავალ ენაზე, წერს მუსიკას...

კონცერტზე საკუთარი ალბომიდან ძველი და ახალი რამდენიმე ნაწარმოები შემოგვთავაზა, ასევე, რამდენიმე ქვეყნის მუსიკა - სხვადასხვა ენაზე, მათ შორის სამი ქართულად იმღერა. ბათუმელებს ცნობილი „გელინოთი“ მოგვესიყვარულა, გვითხრა, რომ ეს აჭარულ მოტივებზე შექმნილი სიმღერა რამდენიმე წლის წინ მოისმინა, ძალიან მოეწონა, შეისწავლა და ახლა თითქმის ყველა კონცერტზე უკრავს.

იან მაკსინი ამჟამად მსოფლიოს გარშემო მოგზაურობს. საქართველოში მეორედაა. მის შემოქმედებაში ძალიან დიდი ადგილი უჭირავს საავტორო მუსიკას, შემოგვთავაზა კიდეც რამდენიმე საინტერესო საკუთარი ნაწარმოები, რომლის ინსპირაციას, ძირითადად, სხვადასხვა ქვეყნის ფოლკლორიდან იღებს. როგორც გვითხრა, ამიერიდან საქართველოს ფოლკლორი მის შემოქმედებაში კიდევ უფრო დიდ ადგილს დაიჭერს.

იან მაკსინი სცენაზე ბათუმელ პერკუსიონისტ ლევან ჯავახიშვილთან ერთად წარსდგა, რომელიც მან ბათუმში იპოვა და ძალიან კმაყოფილიც დარჩა. როგორც ლევანმა გვითხრა (სხვათა შორის, ის მუსიკოსის საუბარს ქართულად გვითარგმნიდა), მათ კონცერტის მოსამზადებლად ძალიან ცოტა დრო ჰქონდათ, მაგრამ მშვენიერი ტანდემი შედგა. ორიოდ სიტყვას ლევან ჯავახიშვილზეც ვიტყვით - იგი საკმაოდ ნიჭიერი ახალგაზრდაა. ამჟამად ის ეხმარება სხვადასხვა მუსიკოსს, პერფორმერებს, დიჯეებს, აწყობს სხვადასხვა ღონისძიებას, აკავშირებს ერთმანეთთან ხელოვან ადამიანებს. ლევანი ამბობს, რომ იანი არაჩვეულებრივი მუსიკოსი და ძალიან კარგი პიროვნებაა, რომელიც ადვილად შედის ადამიანებთან კონტაქტში. ამაში ჩვენც დავრწმუნდით.

- მართალი გითხრათ, ასეთ საღამოს არც ველოდი. ჯერ ერთი, ჩემი ყველაზე უფრო გამოირჩევა „ადამიანური“ ხმით, ეს მე არ მითქვამს, გამოჩენილმა მუსიკოსებმა თქვეს. პირველივე ჰანგებიდან შევიგრძენით მისი პროფესიონალიზმი, შინაგანი ტემპერამენტი, ვნება. ეს კიდევ უფრო გამოვლინდა, როცა ქართული სიმღერა წარმოგვიდგინა. ისე იმღერა, ეჭვი შემეპარა, ვინმე ქართველი ხომ არ ჰყავდა. თურმე, დედა აღიზარდა საქართველოში. ეს ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იყო. ბოლოს ფრანგულად, ვთვლი, რომ ფრანგებზე უკეთ იმღერა. ძალიან გამორჩეული, სხვანაირი შინაგანი კულტურა აქვს. საკუთარი კომპოზიციები რომ დაიწყო, სულ არ ვიცოდი მისი წარმომავლობა, რაღაც ქართული შევიგრძენი. თუ დააკვირდით, „ბათუმს“ როგორ ამბობდა, როგორც ქართველი, აქაური... სიამოვნებით მოვუსმენ კიდევ, სიცოცხლის სიმბოლო იყო ეს ბიჭი, ძალიან მომეწონა, - გვითხრა მხატვარმა ნინო ნიჟარაძემ.

იან მაკსინი კონცერტზე მრავლად მოსულმა მაყურებელმა გულთბილად მიიღო.

კონცერტის, ავტოგრაფების გაცემისა და სამახსოვრო სურათების გადაღების შემდეგ, რამდენიმე წუთით გავისაუბრეთ. როგორც გვითხრა, 17 წლის იყო, როცა რუსეთი დატოვა. მუსიკა მის ცხოვრებაში სულ იყო, რადგან სახლში ყველა უკრავდა, დედა - ფორტეპიანოზე, მამა - გიტარაზე და სხვადასხვა ენაზე მღეროდა კიდეც. მშობლებს ხშირად იწვევდნენ რადიოში, ეს მათი ცხოვრების შემადგენელი ნაწილი იყო... დედ-მამა მოყვარული მუსიკოსები გახლდათ და ძალიან უნდოდათ, მათ შვილს საფუძვლიანად შეესწავლა და გაჰყოლოდა მუსიკას.

იანის დედა უკრაინელია. ბაბუა (დედის მამა), როგორც სამხედრო პირი, 1950-იან წლებში გერმანიაში, დრეზდენში მსახურობდა, შემდეგ - ერევანში და იანის დედა სწორედ იქ დაიბადა 1951 წელს. შემდეგ ბაბუა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში მსახურობდა. 1955 წელს, როგორც სამხედრო მოსამსახურე, თბილისში გადაიყვანეს, სადაც ოჯახი ათი წელი ცხოვრობდა - ფალიაშვილის ქუჩაზე. დედამ საშუალო სკოლა იქ დაამთავრა. იანის დედა შარშან გარდაიცვალა. მისი უფროსი ძმა საუკეთესოდ საუბრობდა ქართულად, მღეროდა კიდეც. მათ ოჯახში ქართული სიმღერა ყველა დღესასწაულზე სრულდებოდა, ამიტომ იანისთვის, მიუხედავად იმისა, რომ სისხლით ქართველი არაა, საქართველო, ქართული კულტურა, კერძები ბავშვობიდან მშობლიური და ახლობელი გახდა.

- ეს იყო „სამშობლო“, სადაც ფიზიკურად არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ მასთან უხილავი ძაფებით მყარად ვიყავი დაკავშირებული. იმდენად ახლოს იყო ჩემთან ქართული კულტურა, რომ მეგონა, ქართველი ვიყავი. ჩვენთან ხშირად მზადდებოდა კავკასიური კერძები. სხვათა შორის, როცა მუსიკალურ სკოლაში ვაბარებდი, მისაღებ გამოცდებზე, 5 წლისამ, ვახტანგ კიკაბიძის სიმღერა დავუკარი. საქართველოში პირველად 2018 წელს ჩამოვედი - მხოლოდ თბილისში კონცერტით. რეპერტუარში არაერთი ქვეყნის სიმღერა მაქვს, თუმცა მათგან ქართული გამორჩეულია. ბათუმში პირველად ვარ, აქ მთელი კვირა დავრჩი და უდიდესი სიამოვნება მივიღე. წამიყვანეს მთებში, ვნახე ფუტკრის სკები, ვიყავი მახუნცეთის ჩანჩქერზე, ვიბანავე კიდეც. ქართული სტუმართმოყვარეობა დაუვიწყარია. სრულიად უცნობი ადამიანები გიღებენ საკუთარი სახლის კარს და გულთბილად გმასპინძლობენ. რაც შეეხება დღევანდელ კონცერტს, ბევრ ენაზე არ ვიმღერე იმიტომ, რომ მსურდა, რაც შეიძლება მეტი ქართული მემღერა. მალე ისევ დავბრუნდები, ალბათ, ზამთარში, - გვითხრა იან მაკსინმა, რომელმაც საფუძვლიანად ოთხი ენა - რუსული, ინგლისური, ფრანგული და ესპანური იცის.

იან მაკსინმა სამი ქართული სიმღერა შეასრულა, იმღერა უკრაინულად, სომხურად, ფრანგულად, იტალიურად, თურქულად, ესპანურად...

P.S. ფოტოებისთვის - მადლობა იანის მეგობარ დიმიტრი რაზიმოვს.

სევი ზოიძე - ცხრა თავდადებული ვაჟკაცის დედა

სულის სიღრმემდე შეძრავს ადამიანს და სიამაყითაც აღავსებს ზნემაღალი, გულანთებული, პატრიოტი ქალის, დიდებული დედისა და პოეტის სევი (საფო) ზოიძის სამშობლოსადმი უსაზღვრო, გულმხურვალე სიყვარული, პატრიოტული სულისკვეთება და თავისუფლებისათვის თავგანწირულ ბრძოლაში შვილებთან ერთად გამოვლენილი სიმამაცე.

უპრიანია ითქვას იმის შესახებაც, რომ სევი ზოიძე მუზეუმის მსახურიც გახლდათ. აჭარის დიდი მოამაგე ზაქარია ჭიჭინაძე წერდ, რომ სევი ზოიძემ ქობულეთელ ბეგ ხასან თავდგირიძეს, ცნობილი სიმღერის „ხასანბეგურას“ ადრესატს 1850 წელს ლექსით მიმართა (იბეჭდება შემოკლებით):

„ბატონ ხასან-ბეგს მიერთვას, უმორჩილესად, თავმდაბლით,
ბროლის ხელსა დაიჭიროს და წაიკითხოს ტკბილის ხმით,
გონიერი, მეცნიერი თქვენ ბრძანდებით აგრე ღვთით...
ნიადაგ ყოვლად შემკულო, ვარდო გაშლილო ქარისა,
ქართლში ბევრისგან ნაქებო, მამშვენებელო გვარისა!...“.

ყოველმხრივი ღირსებებით მომადლებულ ქობულეთელ ზოიძის ქალს ლექსითვე გამოეხმაურა ხასან ბეგ თავდგირიძე:

„ქალო, შენ გაქებს ყოველი, ადამიანთა ენები,
ზიხარ გონივრად გაზრდილი, ადვილათ არ იხსენები,
თვალ-წარბზე ია ჩამოგდევს, ლოყაზე ვარდის ფერები,
ღვთის მადლმა, გულით მიყვარხარ, პირში არ მოგეფერები!“.

სევი ზოიძის სხვა ლექსები ჯერჯერობით არაა ცნობილი. ვფიქრობთ, ეს ერთი ლექსიც, რომელიც შემოგვრჩა, თვალნათლივ წარმოაჩენს ხალხის წიაღიდან მომდინარე მისი პოეტური ქნარის სინატიფეს, ოსმალთა სამსაუკუნოვანი ბატონობის ხანაში ქართველი ქალის მაღალ ინტელექტს, პატრიოტულ სულისკვეთებას, მჭერმეტყველებას, რაც ძალიან ბევრს ნიშნავს. სწორედ ასეთმა ზნემაღალმა, ჭეშმარიტმა დედებმა წმინდად შემოგვინახეს ქართული მადლიანი სიტყვა, ქართული სული და გენი.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სევი ზოიძემ, ამ ზნეკეთილმა, გულმხურვალე, პატრიოტმა ქალმა ცხრა სახელოვანი შვილი, ცხრა რაინდული, უტეხი სულის, ჭეშმარიტი მამულიშვილი აღუზარდა ქვეყანას. სამწუხაროდ, ცხრავე სანუკვარი სამშობლოს განთავისუფლებისთვის თავგანწირულ ბრძოლაში დაეცა გმირულად.

აკაკი ზოიძე

U21 - ინგლისი ევროპის ჩემპიონია!

„ბათუმი არენაზე“ ფინალური მატჩით დასრულდა ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი. ფინალში ერთმანეთს ინგლისისა და ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრებები დაუპირისპირდნენ.

ინგლისის ნაკრებმა ტურნირზე ყველა თამაში „მშრალად“ მოიგო, მათ შორის ფინალიც - 1:0. რითაც ინგლისელებმა ტიტული (1984 წლის შემდეგ - პირველად) მოიპოვეს.

პირველი ტაიმის მე-4 კომპენსირებულ წუთზე კოულ პალმერმა საჯარიმო დარტყმით ესპანელთა კარში კურიოზულიგოლი გაიტანა - როგორც შემდეგ დადგინდა, ბურთი კურტის ჯოუნსს შეეხო. ამ გოლს გუნდური შეხლა-შემოხლა მოჰყვა. მსაჯმა ინგლისელთა მწვრთნელის ასისტენტი ეშლი კოული გააძევა.

მეორე ტაიმში ინგლისის ნაკრებმა ბოლომდე შეინარჩუნა ანგარიშით, თუმცა კომპენსირებულ მე-7 წუთზე კოლვილმა საჯარიმოში იუხეშა და, VAR-ზე გადამოწმების შემდეგ, პენალტი დაინიშნა. 20 წლის გოლკიპერმა ჯეიმს ტრაფორდმა აბელ რუისის დარტყმულიც მოიგერია, დამატებულიც და მატჩის გმირი გახდა.

შეგახსენებთ: ევროპის ჩემპიონატი ორ ქვეყანაში - საქართველოსა და რუმინეთში ჩატარდა. ისტორიაში პირველად მასში მონაწილეობდა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები, რომელმაც A ჯგუფი 5 ქულით მოიგო, ხოლო 1/4-ფინალში ისრაელის ნაკრებთან მხოლოდ პენალტების სერიაში დამარცხდა. პარიზის ოლიმპიური თამაშების საგზური სამმა ნაკრებმა მოიპოვა: ესპანეთმა, ისრაელმა და უკრაინამ.

ამირან გურიელიძე

აჭარის ნაკრები - ბრინჯაოსმედალოსანი

გუშინ ბათუმში საქართველოს 14-წლამდელთა ჩემპიონატის მე-3 ადგილის მფლობელი გამოვლინდა - აჭარის ნაკრებმა „ოვერტაიმს“ უმასპინძლა და 10 ქულის სხვაობით - 61:51 დაამარცხა.

შეხვედრის ბედი ბოლო პერიოდში გადაწყდა. ჯაბა ბაქრაძის გაწვრთნილმა აჭარის ნაკრებმა დასკვნით წუთებში ხელჩასაჭიდი უპირატესობა მოიპოვა, რაც თამაშის ბოლომდე შეინარჩუნა, გიორგი რაზმაძის „ოვერტაიმს“ მცდელობა არ დაუკლია, მაგრამ თამაშის შემობრუნება ვეღარ მოახერხა.

აჭარის ნაკრების წევრები მედლებით აჭარის რეგიონული კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა გოდერძი კორძაძემ დააჯილდოვა. 14-წლამდელთა ლიგაში ჩემპიონი ხვალ „ზაზას აკადემიასა“ და „ჰიუნდაის“ შორის 2-მატჩიან სერიაში გამოვლინდება. შეხვედრები 10 და 11 ივლისს თბილისის ოლიმპიურ სასახლეში გაიმართება.

ამირან გურიელიძე